ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

11 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს საამყარო
ოკეანეები
10 ლარი

ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2013 №216 (6217) ფასი: 30 თეთრი

„რესპუბლიკელები და ნაციონალები ივანიშვილის წინააღმდეგ გაერთიანდნენ“

ამერიკამ რიჩარდ ნორლანდი პარტკომად დაგვინიშნა

გვ.3

კობა დავითაშვილი: „ნაციონალები თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნონ!“

გვ.5

ყურძნის ფასი ხელოვნურად აღარ გაიზრდება

გვ.7

გვ.7 **დავით ბაქრაძეს ზუგდიდში „გასაბერი ფალოსი“ დაახვედრეს**

ივანიშვილს დასავლეთი მერაბიშვილის გამოშვებას სთხოვს?!

გვ.4

გვ.5

ივანიშვილს მარგველაშვილის გამარჯვება არ უნდა?!

თამარ ჟვანია ცესკოს ახალი თავმჯდომარე



გვ.2

გვ.3 **ზაზა ოქუაშვილი: „მზად ვარ „იბერია TV“-ს კუთვნილი ლიცენზიის დაუყოვნებლივ მიღებისათვის“**

გვ.2

გიორგი გუგავა: „ბატონო ბიძინა, ბავშვებს მაინც ნუ მოუკლავთ ოცნებას“

გვ.7 **მიხეილ სააკაშვილი: „ჩემს თვითმფრინავში ივანიშვილი ჩასკუპდა“**

ISSN 1987-9385

2 ახალი პრეზიდენტი მერაბიშვილის შერჩეულ შენობაში დაჯდება

8 ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტთა რაოდენობამ იმატა

7 30 წელში საქართველოში, სავარაუდოდ, 600-მდე ნასოფლარი იქნება

4 კახეთში „ქართული ოცნების“ 60-მდე წარმომადგენელი ბურჯანაძის პარტიაში გადავიდა

თამარ ჟვანია — ცესკოს ახალი თავმჯდომარე

ნათია ხურცილავა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თამარ ჟვანია უხელმძღვანელებს. თამარ ჟვანია გუშინ ცესკოს წევრებმა ერთხმად აირჩიეს. მისი კანდიდატურა უალტერნატივოდ სახელდებოდა.

გადაწყვეტილებას კომისიის ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი. ისინი აცხადებენ, რომ ხმის მიცემისას გადამწყვეტი ჟვანიას გამოცდილება და კომპეტენცია იყო. ამასთან, მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა 11 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ თამარ ჟვანიასთვის გაწეულმა რეკომენდაციამაც მოახდინა.

კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმი, არასამთავრობოების განცხადებით, იყო ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში საარჩევნო საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციის სპეციფიკის კარგი ცოდნა, კანდიდატის არაპარტიული წარსული, პრინციპულობა და ობიექტურობა.

ჟვანიამ უკვე გამართა შეხვედრა თომას მელიასთან ცესკოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

სწორედ თამარ ჟვანიას ხელმძღვანელობით ჩატარდება 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელსაც ხელისუფლებამ უკვე უწოდა ევროპული სტანდარტების.

ჟვანია 2012 წლიდან დღემდე ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის – „სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუციებისა და პროცესების ხელშეწყობა“ – ხელმძღვანელი იყო.

თამარ ჟვანია წლების განმავლობაში გაეროს განვითარების პროგრამაში, ასევე, „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ ვაშინგტონის ოფისში მუშაობდა. ის პროფესიით სოციოლოგია.

თამარ ჟვანიას არჩევნებამდე პროცესები ასე განვითარდა:

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, 9 სექტემბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატი წარადგინა: თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირეჯიბი.

ცესკოს თავმჯდომარის პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ზურაბ ხარატიშვილმა გადადგომის შესახებ განაცხადა და პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა.

ცსკ-ის წევრებს არჩევანი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ სამ კანდიდატს – თამარ ჟვანიას, კონსტანტინე ამირაჯიბსა და მანუჩარ გამყრელიძეს შორის უნდა გაეკეთებინათ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერის ეკა აზარაშვილის განცხადებით, თამარ ჟვანია თანამდებობაზე საქმიანობას დღეიდან შეუდგება.

– ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევაზე გადაწყვეტილებას კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების მიერ დანიშნული 6 წევრი იღებდა. 6 ხმით არც ერთის წინააღმდეგ არჩეულ იქნა თამარ ჟვანია, – განაცხადა აზარაშვილმა, – მას წარმატებებს ვუსურვებთ და ყველანაირად დავეხმარებით, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარდეს.

თამარ ჟვანიას კანდიდატურა პრეზიდენტს 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ შესთავაზა. სწორედ არასამთავრობო სექტორის მიერ დასახელდა ჟვანია, როგორც მაღალი დონის პროფესიონალი და მას დაუჭირა მხარი აღნიშნულ თანამდებობაზე.

სანამ გადაწყვეტილება ცნობილი გახდებოდა, მანამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ნინო გოგუაძე აცხადებდა, რომ კომისიის ყველა წევრი, რომელიც ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს, ფაქტობრივად, ერთ პოზიციაზეა.

სხდომაზე კანდიდატებთან გასაუბრება და მათი სამოქმედო გეგმების მოსმენაც მოხდა.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს, სპიკერ ეკა აზარაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატი – მიხეილ სალუაშვილი, შალვა ნათელაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ნესტან კირთაძე, გიორგი ლილუაშვილი და სერგო ჯავახიძე არიან რეგისტრირებული.

აზარაშვილის თქმით, დანარჩენების რეგისტრაციის საკითხი განხილვის პროცესშია.

– ცესკოს თავმჯდომარის მიერ საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის, კანონით გათვალისწინებული ვადა 27 სექტემბერს იწურება, თუმცა გამოვლენილი გარემოებების გადამოწმების შედეგად რამდენიმე კანდიდატობის მსურველს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. სახელმწიფოს სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ ზურაბ წიწუაშვილი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირია, შესაბამისად, მას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. ამასთან, მიღებული ინფორმაციითვე დადგინდა, რომ კანდიდატობის ორი მსურველი ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი მერაბ სულიაშვილი ორმაგი მოქალაქეობის მქონეა, იგი ერთდროულად საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეა, ასევე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი ავთანდილ იოსელიანი მხოლოდ რუსეთის მოქალაქეა და მას შეწყვეტილი აქვს საქართველოს მოქალაქეობა. ორივე პიროვნებას უარი ეთქვა საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე, – განაცხადა აზარაშვილმა.

ასევე ორმაგი მოქალაქეობის გამო უარი ეთქვა სამ კანდიდატს გიორგი გახოკიას, ტარიელ ხვედელიასა და სალომე ზურაბიშვილს. მათ შორის ორმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის სამ მსურველს, რომელთაც საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირება სურდათ, რეგისტრაციაზე უარი უთხრა. მათ შორისაა ზურაბ წიწუაშვილი, რომელსაც უარი ორმაგი მოქალაქეობის გამო ეთქვა.

მათივე თქმით, უარი ეთქვათ ასევე კანდიდატების მსურველებს, ავთანდილ იოსელიანსა და მერაბ სულიაშვილს, ეს უკანასკნელი ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირია:

– მერაბ სულიაშვილი არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, იგი ერთდროულად საქართველოს და რუსეთის მოქალაქეა. ავთანდილ იოსელიანი კი მხოლოდ რუსეთის მოქალაქეა და შეწყვეტილი აქვს საქართველოს მოქალაქეობა, შესაბამისად, ორივე პირს უარი ეთქვა საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე, – განაცხადა ცესკოს სპიკერმა, ეკა აზარაშვილმა.

ახალი პრეზიდენტი მერაბიშვილის შერჩეულ შენობაში დაჯდება

ნათია ხურცილავა

„საავტომობილო გზები და მიწისქვეშა კომუნიკაციები“ – ასე ჰქვია მესამე საერთაშორისო კონფერენციას, რომელმაც რეგიონული განვითარების სამინისტროს ორგანიზებით მუშაობა გუშინ დაიწყო. კონფერენცია რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ნარმანიამ გახსნა.

– გზები და მიწისქვეშა კომუნიკაციები თანამედროვე ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი შემადგენელია. ყველა სახელმწიფო, რომელიც თავის მოსახლეობაზე ზრუნავს, მათ დიდ ყურადღებას აქცევს. ჩვენ გვინდა, არ ჩამოვრჩეთ დროს და შევქმნათ ხანგრძლივ ვადებზე გათვლილი კომუნიკაციები, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მინისტრმა ხაზი გაუსვა ხარისხს, როგორც საქართველოს ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს.

კონფერენციის გახსნამდე, კონფერენციის სტუმრებმა და მონაწილეებმა ტექნიკის გამოფენა დაათვალიერეს, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოეწყო. მესამე საერთაშორისო კონფერენცია სამდღიანია და ის მუშაობას 13 სექტემბერს დაასრულებს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, უნდა შევძლოთ და ხარისხიანი პროდუქტი შევქმნათ.

– რამდენიმე გზის მონაკვეთს ლაბორატორიული შემოწმება ჩავუტარეთ, იყო ნეგატიური და პოზიტიური შეფასება. ჩვენ უნდა შევძლოთ, ნეგატიური წარსულს უნდა ჩავბაროთ და ხარისხიანი პროდუქტი შევქმნათ, – განაცხადა ნარმანიამ.

საერთაშორისო კონფერენციას მინისტრთა კაბინეტის წევრები, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენ.

როგორც მინისტრმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, კონფერენციის მიზანი აღნიშნულ სექტორში გლობალურ დონეზე აღიარებული ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, გამოცდილების გაცვლა, კერძო და საჯარო სექტორს შორის კონტაქტების დამყარება და აღნიშნულ სექტორში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაა.

– კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია იმით, რომ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გაზიარება ხდება საჯარო სექტორებს შორის. ასევე ხდება ძალიან მდიდარი ინფორმაციის გაცვლა. ძალიან ბევრი ქვეყანა მონაწილეობს. ეს კონფერენცია ტარდება ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ორგანიზებით. მნიშვნელოვანია კონფერენცია იმ კუთხითაც, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები იქნას დანერგილი. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის, არამედ მისი მოვლა-პატრონობის ტექნოლოგიების დანერგვის მხრივაც, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრმა კიდევ ერთ საკითხზე ისაუბრა ჟურნალისტებთან. მინისტრმა ფრანგულ თვითმფრინავებზე გააკეთა კომენტარი. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ერთი ფეშენებელური თვითმფრინავის ქონას, სამი ვერტმფრენი სჯობს, რომელიც ჯანდაცვის სექტორს მოემსახურება.

– ეს არის ქარიშხალი, ღია კარის მტვრევა. დღესდღეობით თვითმფრინავები საქართველოშია ჩამოყვანილი. ჩვენ გვინდოდა, რომ გაგვეყიდა და რაოდენობით უფრო მეტი ვერტმფრენი შეგვეძინა, რომელიც ჯანდაცვას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სექტორს გადაეცემოდა. სამწუხაროდ, იმ ფასად ვერ გაიყიდა, რა ფასადაც იქნა შეძენილი. ჩემი აზრით და ალბათ, მოსახლეობაც დამეთანხმება, რომ ერთი ფეშენებელური თვითმფრინავის ქონას, ჯობია ვიყიდოთ სამი, რომელიც ჯანდაცვის სექტორს მოემსახურება, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ფრანგული წარმოების ორი ვერტმფრენის გაყიდვა ვერ ხერხდება.

– ვერტმფრენების გაყიდვას რამდენიმე თვეა ვცდილობთ, სამწუხაროდ, გაყიდვა ვერ ხერხდება. ყველა სერიოზული დილერი აღნიშნავს, რომ ეს ისეთი ფასია, რა ფასადაც ჩვენ ამას ვერ ვყიდით. საბოლოო ჯამში თუ ვერტმფრენები არ გაიყიდება, ჩვენ იმხელა ფასდაკლების გაკეთებას არ ვაპირებთ, რომ ეს ქვეყნისთვის საზარალო იყოს, შესაძლებელია მოინახოს მათი დანიშნულება ქვეყნის შიგნით. დღეს რომ ჩვენ ამ ვერტმფრენებს ვყიდულობდეთ, ალბათ, ამ ფასად არ შევიძენდით, გაცილებით უფრო მეტი დაბალფასიანი ვერტმფრენის შეძენა შეიძლებოდა სასაზღვრო ძალებისთვის და ასევე შიდა მოხმარებისთვის. ეს არის ის, რაც ჩვენ დაგვხვდა და ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს გარდა იმისა, რომ ალბათ, ამ ვერტმფრენებს შიგნით მოვიხმართ, ვიმეორებ, რომ რეალიზაცია უბრალოდ შეუძლებელი იყო იმ ფასად, რა ფასადაც იყო შეძენილი, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ჟურნალისტები ავლაბრის რეზიდენციის მომავლითაც დაინტერესდნენ. რაც შეეხება ავლაბრის რეზიდენციის მომავალ ბედს, ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ავლაბრის რეზიდენციის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

– რა განთავსდება ავლაბრის რეზიდენციის შენობაში, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ახალი პრეზიდენტის რეზიდენცია ათონელის ქუჩაზე განთავსდება.

ისტორიული შენობა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო მდებარეობდა, ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტის რეზიდენცია გახდება. ამერიკის საელჩოს ყოფილ შენობაში უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელსაც კურირებას სწორედ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო უწევს.

აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია და სხვა ფლიგელების აშენება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის უნდა მოეწყოს.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ შენობას ვანო მერაბიშვილი თავისთვის იშენებდა, უფრო ზუსტად კი, პრემიერმინისტრობის შემდეგ სწორედ იქ აპირებდა ოფისის მოწყობას. დავით ნარმანიას ინფორმაციით, აღნიშნული შენობის ავეჯიც კი არსებობს იტალიიდან ჩამოტანილი.

გიორგი გუგავა: „ბატონო ბიძინა, ბავშვებს მაინც ნუ მოუკლავთ ოცნებას“

ლეიბორისტული პარტიის პოლტიკური მდივანი გიორგი გუგავა, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გადასახადების დაწესებას გამოეხმაურა. მისი განცხადებით, საერთო გაჭირვების ფონზე, მშობლები გადასახადების გადახდას ვერ შეძლებენ.

„ჯერ იყო და წინა ხელისუფლება, ბავშვებისთვის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წართმევას აპირებდა, რაც საზოგადოების აქტიური წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო, ხოლო ივანიშვილის ხელისუფლებამ, ახალი მაღალი გადასახადების დაწესებით, შვიდი ათასს ბავშვს პიონერთა სასახლე პრაქტიკულად წაართვა.

თითოეული ბავშვის რეგისტრაცია 50 ლარი გახდა, ხოლო ყოველთვიური გადასახადი, ასევე 50 ლარია, რის გადახდასაც, საერთო გაჭირვების ფონზე, მშობლები ვერ შეძლებენ.

მივმართავთ პრემიერ-მინისტრს: ბატონო ბიძინა, ბავშვებს მაინც ნუ მოუკლავთ ოცნებას, გააუქმე გადასახადები და ისტორიული, კულტურული და სასწავლო ცენტრი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, ბავშვებს დაუტოვე“ – აცხადებს გიორგი გუგავა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ელიზბარ ჯაველიძე: „რესპუბლიკელები და ნაციონალები ივანიშვილის წინააღმდეგ გაერთიანდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან კითხვები აქვს. „სახალხო კრების“ ერთ-ერთ ლიდერს იმის გარკვევა აინტერესებს, რატომ ვერ იტანს პრემიერი ნინო ბურჯანაძეს. აკადემიკოსი ივანიშვილს რჩევასაც აძლევს და ურჩევს, მეტი ყურადღება დაუთმოს მოღალატე თანაგუნდელებს. რა იგეგმება ივანიშვილის ზურგს უკან, რატომ არის ამერიკის ელჩი თანამედროვე პარტკომი, რა მოხდება ნაციონალების გადარჩენის შემთხვევაში — ამ თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

— 1 ოქტომბერს ერთი წელი სრულდება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან. თქვენი აზრით, გაამართლა თუ არა ამ ხელისუფლებამ ხალხის მოლოდინი?

— დიდი უმადურობა იქნება იმის დაუნახაობა, თუ როგორ შეიცვალა ამ ქვეყანაში პოლიტიკური ჰავა. ადამიანებს თავიანთი აზრის ხმამაღლა გამოხატვის აღარ ეშინიათ.

— თქვენ ნაციონალების დროსაც არ გეშინოდათ აზრის დაფიქსირებისა.

— მე არ მეშინოდა, მაგრამ ხალხს ხომ ეშინოდა. მოსახლეობა ლამის გარეთ ვეღარ გამოდიოდა შიშით. მიდიოდა ტოტალური თვალთვალი და მოსმენები. როგორც ამბობენ, გრძელდება საუბრების მოსმენა-ჩაწერები მაგრამ ხალხს უკვე აღარ ეშინია. ყველა ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებას. ეს ძალიან დიდი მიღწევაა. კარგად მახსოვს 2012 წლის პირველი ოქტომბრის ღამე. საოცარი განცდა იყო, როცა გავიგეთ, რომ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ყველას სახეზე ბედნიერების ღიმილი ეხატა. სამწუხაროდ, ხალხს ეს ღიმილი სახეზე შეახმა. გული მწყდება, რომ არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ასრულდა ქართველი კაცის ოცნება. ჩვენ ვოცნებობდით, რომ საქართველო რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა გახდებოდა, პატივს მივაგებდით ზნეობას, ეროვნულ ტრადიციებს. ეს ოცნებები გაქრა. გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ ამ ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებები არ შეასრულა. არადა, გვწამდა, რომ ივანიშვილი სიტყვის კაცია და ყველა დანაპირებს აღასრულებდა.

— რომელი დაპირებები არ შესრულდა?

— თითქმის ყველა დანაპირები შეუსრულებელი დარჩა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ არ ხდება სამართლიანობის აღდგენა. ბიძინა ივანიშვილს მადლობა უნდა ვუთხრათ იმისთვის, რომ მან შავი ჭირი – მიხეილ სააკაშვილი სკამიდან ჩამოაგდო. სამწუხაროა, რომ ეს ბრძოლა შუა გზაშია გაჩერებული. გარედან თავსმოხვეული კოაბიტაციის წყალობით პოლიტიკურად მკვდარი ნაციონალები გაცოცხლდნენ. ისინი ხშირად გამოდიან ჩვენი შერყვნილი ტელეარხებით, ჭკუას გვარიგებენ, გვადანაშაულებენ და ზნეობის გაკვეთილებს გვიტარებენ. იმასაც კი ბედავენ და გვასწავლიან თუ რა არის თავისუფლება. მათი ასეთი საუბრების მოსმენა ამაზრზენი და გულისგამხეთქავია. საშინელებაა, როცა ზნეობაზე და მორალზე მკვლელები, გარეწრები და ცოცხებით გამაუპატიურებლები გვესაუბრებიან. ამ ხალხმა სახელმწიფო გაანადგურეს, ქართველი ხალხი კი სიკვდილის პირას მიიყვანეს როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად. ეს ყველაფერი დასავლეთის დამსახურებით ხდება. მესმის, რომ მათგან არის თავსმოხვეული, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა გვქონდეს ჩვენი მეობა. ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ პირველ რიგში თავის მოსახლეობას უნდა გაუწიოს ანგარიში! სამწუხაროდ, მეოცნებეებისთვისაც მთავარია, თუ რას იტყვიან ჩვენი დასავლეთელი მეგობრები. სანამ ამ ხალხს ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობაზე წინ დააყენებს საქართველოს არაფერი არ ეშველება.

— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ დასავლეთის მოთხოვნებს ანგარიში არ გავუწიოთ?

— მთლად ასეც არ არის. ჩვენ მათ მოთხოვნებსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. ოღონდ პირველ პლანზე ქართველი ხალხის მოთხოვნები და განწყობა უნდა დავაყენოთ. ამერიკელ პოლიტიკოსებს სულ არ აინტერესებთ, თუ როგორ იცხოვრებს ქართველი ხალხი. მათ ამ ქვეყანაში საკუთარი ინტერესები აქვთ და იმ პოლიტიკოსებს უჭერენ მხარს, რომლებიც მათ მითითებებს ბრმად შეასრულებენ. სამწუხაროდ, ჩვენში დაამკვიდრეს აზრი, რომ საქართველოს ბედი ქვეყნის გარეთ არსებულ პოლიტიკურ ძალებზეა დამოკიდებული.

— ზემოთ თქვით, რომ დასავლეთი ცდილობს ნაციონალების გადარჩენასო. თქვენი აზრით, რატომ გამოიდეს მათ გადასარჩენად თავი?

— იმიტომ გამოიდეს თავი, რომ ნაციონალები მათ მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ. მთელი 9 წელი სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყველაფერ ქართულს ებრძოდა. განსაკუთრებით ებრძოდნენ სულიერებას. ამაზე იდგა სააკაშვილის ხელისუფლება. მე ხშირად მითქვამს, რომ ის, რაც ანგრევს საქართველოს ამაგრებს სააკაშვილის სკამს. ამერიკამ მილიარდები ჩადო იმაში, რომ საქართველო მისი გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შარშანდელი არჩევნები ნაციონალებს მოეგოთ. ისე არ იფიქროთ, რომ სააკაშვილი მათთვის პიროვნულად არის ძვირფასი. ის ამერიკისთვის იმიტომ არის მისაღები, რომ მათ დავალებებს პირნათლად ასრულებს. მერე დაინახეს, რომ ხალხი ნაციონალების მიმართ რადიკალურად იყო განწყობილი და პოზიცია შეიცვალეს. იმ ძალების მოყვანა გადაწყვიტეს, რომლებიც მათ პოლიტიკას გაატარებდნენ. შეისწავლეს აქ არსებული ვითარება და მოძებნეს ის ადამიანი, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა ქართველი ხალხი. ეს კი ბიძინა ივანიშვილი გახლდათ. ეს ადამიანი არ ჩანდა პოლიტიკაში, იყო თავისთვის და ამ ქვეყანას უამრავი კეთილი საქმე გაუკეთა. ივანიშვილი დღესაც იმას ფიქრობს, სიკეთე გაუკეთოს თავის ქვეყანას. ამერიკელები შეეგუვნენ იმ აზრს, რომ ივანიშვილი მოვიდოდა ხელისუფლებაში. ოღონდ თავიანთი ელჩი ნორლანდი პარტკომად აქციეს. ის კოლმეურნეობის სხდომებს ესწრება და ყველას მითითებებს აძლევს.

ამერიკამ რიჩარდ ნორლანდი პარტკომად დაგვინიშნა

— გამოდის, რომ ივანიშვილიც ამერიკიდან იმართება.

— მთლად ასე არ არის. თუმცა ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს ევროპას და ამერიკას. ის აიძულეს, ხელისუფლებაში ამერიკის ძუძუთი ნასაზრდოები ძალები მოეყვანა.

— რესპუბლიკელებს გულისხმობთ?

— რესბუბლიკელებზე მოგახსენებთ. ასეთივე ამერიკული ძალაა ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატებიც“. ამერიკელები დარწმუნებული არიან, რომ ნაციონალების მსგავსად მათი მითითებების შესრულებას ეს ძალები შეძლებენ. სამწუხაროა, რომ ძველი სისტემა ისევ მუშაობს. არადა, ეს ის სისტემაა, რომელმაც საქართველო და ქართველი ხალხი ფაქტიურად გაანადგურა.

— წესით და რიგით მეოცნებეები და ნაციონალები ერთმანეთის ოპონირებით უნდა იყვნენ დაკავებული. ამის მაგივრად მათ „სახალხო კრებაზე“ მიიტანეს იერიში. ეს რისი მანიშნებელია?

— კიდევ კარგი გვლანძღავენ. ქება რომ დაეწყოთ, ეს იქნებოდა ცუდი. „სახალხო კრება გახლავთ“ ის გაერთიანება, რომელსაც ვერავინ ვერ მოისყიდის. „სახალხო კრება“ არის ზეპარტიული ორგანიზაცია, რომელსაც მხოლოდ საქართველო აინტერესებს. კრების არც ერთი წევრი თანამდებობისთვის არ იბრძვის. ამიტომ ჩვენ ვერავინ გადაგვიბირებს. ისევე როგორც ვერ გადაიბირეს გურამ შარაძე. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამ ადამიანმა თავის პრინციპებს არ უღალატა. ამის გამო მოკლეს ის დღისით, მზისით. ამ უწესიერესი ადამიანის ცხედარი 2 საათი ეგდო ქუჩაში და ახლოს არავის აკარებდნენ. ამით გვითხრეს, რომ თუ მათ მხარეს არ ვიქნებოდით, გურამ შარაძის ბედს გავიზიარებდით. ვიღაცები შეშინდნენ, ვიღაცები – არა. „სახალხო კრებაში“ ის ხალხი ვართ, რომლებიც ვერ შეგვაშინეს. იარაღით რომ დამადგნენ თავზე, მაინც არ ვიტყვი, რომ ნორმალური მოვლენაა ლგბტ თუ რაღაც ჯანდაბა.

— ამის გამო შეიძლება დაგგმონ?

— უბედურება ის იქნება, თუ შემაქებენ. მათზე კარგს არასდროს ვიტყვი. ესენი შეგნებულად გამოუშვეს ქუჩაში. ეს ლგბტ არის ერის გახრწნის ერთ-ერთი მეთოდი. ამ გახრწნას არასამთავრობო ორგანიზაციები უჭერენ მხარს. საია თუ მაია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სამართლიანი არჩევნები თუ გამჭვირვალობა საქართველო საშინელი ძალებია. რამდენი ხანია ვკითხულობთ, მაგრამ არ გვეუბნებიან, თუ ვინ არის მათი დამფინანსებელი. თავად ყველას საქმეებში ერევიან. ამათ აფინანსებს უცხოეთი. ახლახან ცნობილი გახდა, რომ მათი ერთ-ერთი დამფინანსებელი მიხეილ სააკაშვილია. ეს თავად სააკაშვილს წამოსცდა. ასეთ ხალხს ჰქვია სწორედ აგენტები. ისინი საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან და ამაში სოლიდურ თანხებს იღებენ. ასეთი ხალხი ბუნებრივია, „სახალხო კრებას“ ვერ აიტანს. ყველაფერი კეთდება ჩვენი ჩაძირვისთვის.

— შეძლებენ თქვენს ჩაძირვას?

— არ გამოუვათ! ხალხი ჩვენ დაგვიჭერს მხარს. იმიტომ დაგვიჭერს მხარს, რომ კოაბიტაციის წინააღმდეგი ვართ. კოაბიტაცია არის იმ ჭირის გამაცოცხლებელი, რასაც სახელად ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. ჭირის მოშორება შესაძლებელია. მაგრამ ამ დაავადებას ბაცილები აქვს, რომლებიც დიდხანს არსებობენ და ხელსაყრელ პირობებში ადვილად ცოცხლდებიან. ამიტომაც იყო, რომ ხალხს ოდითგანვე ეშინოდა შავი ჭირის. თუ ეს კოაბიტაცია არ დასრულდა ნაციონალური შავი ჭირი ისევ მოგვიბრუნდება. დღეს ნაციონალების რეიტინგი კატასტროფულად დაბალია. ამის მიუხედავად ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ისინი დასახელდნენ მთავარ ოპოზიციურ ძალად. ვიღაცებმა გადაწყვიტეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დავით ბაქრაძე გაიყვანონ მეორე ადგილზე. „სახალხო კრებისა“ არ იყოს ნინო ბურჯანაძის ჩაძირვასაც ცდილობენ. აქ ნაციონალები და ოცნება ერთად არიან. იმიტომ, რომ იციან ბურჯანაძის გამარჯვების შემთხვევაში ეს მახინჯი კოაბიტაცია დასრულდება. და იცით, როგორ დასრულდება, ყველა წავა ციხეში. საუბარია დამნაშავეებზე, უდანაშაულო ხალხს არავინ ერჩის.

— კოაბიტაციის დასრულების პირობას გიორგი მარგველაშვილიც იძლევა.

— დასრულდება როგორ არა. იცით, როგორ დასრულდება მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში კოაბიტაცია? სააკაშვილს მოიშორებენ და განახლებულ ნაციონალებს მოგვიყვანენ. აი, მაშინ დაიწყება უბედურება.

— რა უბედურება?

— შეეკვრებიან ერთმანეთს და დაეპატრონებიან ქვეყანას. და რაკი ივანიშვილი პოლიტიკიდან აპირებს წასვლას, ეს რისკი მით უფრო იზრდება. ივანიშვილს დღეს წასვლის უფლება არა აქვს!

— რატომ არა აქვს?

— მას ქართველმა ხალხმა ნდობა გამოუცხადა და ეს ნდობა უნდა გაამართლოს. „ქართული ოცნება“ ხალხმა ივანიშვილს ხათრით აირჩია. ხალხმა მისი ხათრით ბევრ მიუღებელ ადამიანზე დახუჭა თვალი. მისი წასვლის შემთხვევაში ყველაფერი რესპუბლიკელებს დარჩება. ამ პარტიის რეიტინგი 2 პროცენტიც კი არ არის. ახლა წასვლა არ შეიძლება“ წასვლის შემთხვევაში ივანიშვილი საქართველოს იმ ძალების ხელში ტოვებს, რომლებიც ნაციონალებს გაურიგდნენ.

— გინდათ თქვათ, რომ ივანიშვილს საკუთარი გუნდი ღალატობს?

— ყველაზე ვერ ვიტყვი. მაგრამ მეოცნებეთა ნაწილი უკვე კარგა ხანია გაურიგდა ნაციონალებს და დაიწყეს საკუთარი ცხოვრების მოწყობა. ცდილობენ ყველგან თავიანთი ხალხი დასვან.

— ივანიშვილმა არ იცის ამის შესახებ?

— რაღაც ალბათ იცის, რაღაც არა. სამწუხაროდ მან გარემოცვად ცუდი ხალხი აირჩია. ეს ადამიანები კარგად მახსოვს, როგორ მოიხსენიებდნენ ცოტა ხნის წინ ბიძინას. ახლაც პირში ეფერებიან, ზურგს უკან კი ძირს უთხრიან. სამწუხაროა, რომ ივანიშვილი მათ ენდობა, ხოლო ნინო ბურჯანაძეს უპირისპირდება.

— თქვენი აზრით, რატომ არის ივანიშვილისთვის ნინო ბურჯანაძე ასეთი მიუღებელი?

— ამაზე კარგა ხანია ვფიქრობ, მაგრამ ვერ გავარკვიე. ეს ბიძინა ივანიშვილს უნდა ვკითხოთ. მე არ მომეცა საშუალება, მას შევხვედროდი. როცა შევხვდები, აუცილებლად ვკითხავ. ბევრისთვის ბურჯანაძე იმიტომ არის მიუღებელი, რომ მას დასავლეთთანაც და რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა სურს. არა მგონია, ივანიშვილი ამ პოზიციის გამო შემოსწყრეს ბურჯანაძეს, თავადაც ამ აზრზეა. ცოტა ხნის წინ დათო უსუფაშვილმა თქვა, ჩვენი მთავარი მიზანი ნაციონალების გადარჩენაოო. ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ბურჯანაძის გამარჯვებას ბაქრაძის გამარჯვება გვირჩევნიაო. ის ბაქრაძე ურჩევნიათ, რომელიც ომის დროს გაიქცა, დაიმალა ბუჩქებში, ჩვენ კი მოგვიწოდა, მტერს დანა-ჩანგლით ეკვეთეთო. ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ნაციონალები და რესპუბლიკელები ერთად არიან. იმედია, არაფერი გამოუვათ. ხალს მათი აუგი ზრახვები გაშიფრული აქვს. რესპუბლიკელების დიდი მონდომების მიუხედავად დავით ბაქრაძე მეორე ადგილზე ვერ გავა.

— რომ გავიდეს?

— გამორიცხულია! ხოლო თუ საშინელება ჩაიდინეს და ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანეს, ქვეყანაში დიდი არეულობა მოხდება. ხალხი ნაციონალების პარპაშს არ დაუშვებს. როგორც უკვე ვთქვი, მათი აუგი ზრახვები გაშიფრულია. ამ ფონზე ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო შანსები ყოველდღე იზრდება.

— ბევრი ფიქრობს, რომ ნინო ბურჯანაძეს 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ მორალური უფლება არა აქვს, პრეზიდენტად იყაროს კენჭი.

— 7 ნოემბერი ბურჯანაძის ბიოგრაფიაში შავი ლაქაა. მაგრამ როცა 7 ნოემბერზე ვსაუბრობთ, ბურჯანაძესთან დაკავშირებით სხვა რამეებსაც რატომ არ ვიხსენებთ. რატომ არ გვახსოვს, რომ დარბევის დროს მისი ბრძანებით გააღეს პარლამენტის კარები და ხალხს თავის გადარჩენის საშუალება მისცეს. რატომ არ ვიხსენებთ, იმავე დღეს ნაციონალები რომ შეიკრიბნენ რუსთაველზე ოპოზიციის დასარბევად? ბურჯანაძე გამოვიდა და ისინი დაშალა. ნინო ბურჯანაძეს ხშირად ვაკრიტიკებდი, მაგრამ ვერ დავუკარგავ იმას, რომ მამაცი ადამიანია. ის სხვების შვილებს არასდროს ამოჰფარებია. 26 მაისის სისხლიან ღამეს თავის ოჯახის წევრებთან ერთად იდგა რუსთაველზე. მან ბოლომ დატოვა იქაურობა. ის არის ადამიანი, რომელიც დაასრულებს კოაბიტაციას და ქვეყანაში სამართლიანობას აღადგენს. სამართლიანობის აღდგენა კი ხალხის მთავარი მოთხოვნაა. ივანიშვილს ყველაზე მეტად უნდა აწყობდეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ნინო ბურჯანაძემ მოიგოს.

— რატომ უნდა აწყობდეს ეს ივანიშვილს?

— გამოცდილება გვკარნახობს, რომ არ შეიძლება მთელი ძალაუფლება ერთი პარტიის თუ ძალის ხელში იყოს თავმოყრილი. პარლამენტი და მთავრობა ოცნებისაა. და ახლა პრეზიდენტადაც რომ მათი კაცი გავიდეს, ქვეყანაში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდება.

ზაზა ოქუაშვილი: „მზად ვარ „იბერია TV“-ს კუთვნილი ლიცენზიის დაუყოვნებლივ მიღებისათვის“

ზაზა ოქუაშვილი პატარკაციშვილების ოჯახის მიერ „იბერია ტვ“-ს ლიცენზიის დაბრუნებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„მოხარული ვარ და მინდა მივულოცო „იბერია ტვ“-ს გულშემატკივრებს, „იბერიის“ ყოფილ თანამშრომლებს, საქართველოში სამართლიანობის აღდგენის მხარდამჭერებს, მთელ საზოგადოებას, რომ „იმედისა“ და „იბერია თV“-ს ამჟამინდელმა მფლობელმა მიიღო გადაწყვეტილება უანგაროდ დაუბრუნოს „იბერია თV“-ს კუთვნილი ლიცენზია სასამართლო მოსმენის გარეშე, რომელიც ჩანიშნულია სექტემბერში.

ჩემი მხრივ, როგორც „იბერია ტვ“-ს კანონიერი მფლობელი, მზად ვარ „იბერია თV“-ს კუთვნილი ლიცენზიის დაუყოვნებლივ მიღებისათვის საქართველოში არსებული კანონების გათვალისწინებით და საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თანხმობით და მონაწილეობით.

ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მოსახლეობას მალე ექნება კიდევ ერთი დამოუკიდებელი წყარო ინფორმაციის მიღებისა „იბერია თV“-ს სახით და „იბერია თV“-ს მომავალ ჟურნალისტებს კვლავაც ექნებათ საშუალება თავისი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული მასმედიის განვითარებაში,“ – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ – ტელეკომპანია „იბერია თV“, რომელსაც ზაზა ოქუაშვილი ფლობდა, 2004 წელს დახურეს, როდესაც „ომეგა ჯგუფის“ კუთვნილ კომპანიებში სპეცრაზმი შეიჭრა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ტელეკომპანია „იბერია თV“-ის სამაუწყებლო ლიცენზია არაკანონიერად გადაეცა ტელეკომპანიას „აისი“, რომელიც იმ პერიოდში შეიქმნა და მაუწყებლობა არც ჰქონია.

2012 წლის სექტემბერში, როდესაც პატარკაციშვილების ოჯახს „იმედი თV“ დაუბრუნეს, ზემოხსენებული „აისი“-ც მათ გადაეცა. პატარკაციშვილების ოჯახის მიერ წინა კვირას გავრცელებული განცხადებით, ისინი მზად არიან, ლიცენზია „იბერია თV“-ს დაუბრუნონ.

„მივიღეთ გადაწყვეტილება და მზად ვართ, კეთილი ნების საფუძველზე, გადავცეთ №106 ლიცენზია „იბერია ტვ“-ს, – ნათქვამია პატარკაციშვილების ოჯახის განცხადებაში.

მედიანიუსი

ივანიშვილს დასავლეთი მერაბიშვილის გამოშვებას სთხოვს?!

ნონა ცაბაძე

„ბაქრაძეს პრეზიდენტობის კანდიდატად არც განვიხილავ“

ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

– ბატონო შალვა, ბიძინა ივანიშვილის ღია განცხადებას ხელისუფლებიდან წასვლის თაობაზე, საზოგადოებაში ათასგვარი შეფასებები მოყვა. თქვენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს პრემიერის წასვლა თანამდებობიდან?

– პირველ რიგში ის ვთქვათ, რომ ივანიშვილმა ღიად ამის შესახებ განაცხადა, მისი პოლიტიკაში მოსვლის მეორე თუ მესამე დღეს. ეს კაცი არასდროს არ მალავდა ამას და ხმამაღლა აცხადებდა, როგორც მისი გუნდის წევრებთან, ისე საზოგადოებასთან შეხვედრების დროს. როგორც ჩანს, არავის ეგონა თუ ამას მართლა გააკეთებდა და ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. თუმცა მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მჯეროდა მისი სიტყვების და ვიცოდი, რომ ეს კაცი ამ ნაბიჯს გადადგამდა. რას ამბობს ეს კაცი და როგორ უნდა გაიგოს საზოგადოებამ ეს ყველაფერი, ამ ადამიანის მიზანი იყო, პირველივე დღიდან, რაც პოლიტიკაში შემოაბიჯა, ტირანია დაემარცხებინა და სააკაშვილი გაეშვა ხელისუფლებიდან. მან ამას მიაღწია, სიტყვა შეასრულა. მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მე როგორც ვიცი, პროკურატურა აპირებს, რომ სააკაშვილი მისცეს პასუხისგებაში და სადღაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილი წავა. ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, როგორც უნდა, ისე შეაფასოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კაცი მიდის. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ კაცმა ტირანია დაამარცხა და ამის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წავიდეს. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა თუ ის არ წავიდოდა, დარჩებოდა, გააგრძელებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, უხელმძღვანელებდა იმ გუნდს, რომელსაც ახლა უდგას სათავეში. თუმცა ყველა ადამიანი თავის მოქმედებაში თავისუფალია და მან ეს გადაწყვეტილება მიიღო. თან ამბობს, რომ მესამე სექტორში გადასვლით უფრო დიდ დახმარებას გაუწევს სახელმწიფოს, ვიდრე ახლა, როდესაც არის თანამდებობაზე. ამ ყველაფერს, როგორც ჩანს, აქვს კონკრეტული მიზეზები.

– რა მიზეზებზეა საუბარი?

– მეტი რა მიზეზები გინდათ, კაცი ცოცხლად შეჭამა ევროპამ თუ ამერიკამ, რომ არიქა, კოაბიტაცია, არიქა ეს, ის. დამნაშავე ვერ დაუსჯიათ, გამოდიან და გაჰყვირიან...

– ისიც ითქვა, რომ იძულებითი იყო ეს ნაბიჯიო...

– მე არ ვიცი, იძულებითი იყო თუ არ იყო იძულებითი, მაგრამ ცოცხლად შეჭამეს ეს ადამიანი და რა ექნა? არავინ დააპატიმრო, პასუხისგებაში არავინ მისცეო... ამიტომ წავა ეს კაცი, გვერდზე გადგება, მოვა ისეთი გუნდი, რომელიც ამ ნაბიჯებს გადადგამს და აღარ იქნება ეს ივანიშვილის გაკეთებული. აღარც ნაციონალებს ექნებათ სათქმელი, რომ ეს რუსეთიდან მოსული კაცი, ეს ოლიგარქი და ასე შემდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ჩაჯდება სამართლებრივ ჩარჩოებში. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ იგი სწორ გადაწყვეტილებას იღებს, თუმცა პირადად მე მერჩივნა დარჩენილიყო. ახლა რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რა რჩება? რას ვიღებთ ჩვენ? მინდა გითხრათ, რომ ბოლო თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში, ყველაზე კარგ სიტუაციას ვიღებთ.

– ამ კარგ სიტუაციაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ აბსოლუტურად განადგურებულია დიქტატორული რეჟიმი – ნაციონალური მოძრაობა, მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად გაფარჩაკებულია. მართალია რაღაც მცდელობები აქვთ, მაგრამ დამიჯერეთ, აბსოლუტურად გაკოტრებული ძალაა. ასევე თანაბარ პირობებში იმყოფება ყველა პოლიტიკური პარტია, იქნება ეს პარლამენტში მყოფი ოპოზიციური ძალა, იქნება ქუჩაში მყოფი ოპოზიციური ძალა თუ ასე შემდეგ, ყველა ფაქტიურად რჩება თანაბარ პირობებში, თანაბარ სასტარტო პირობებში. მოხდება ახალი პოლიტიკურ ძალთა გადაადგილება და დაჯგუფება. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ის ხალხი ნაციონალებიდან, ვისაც დანაშაული არა აქვს ჩადენილი, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებშიც ვიხილოთ და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ამბობს, რომ თუ მე დავრჩები, არ არსებობს სხვა ძალა, რომელიც კონკურენციას გაგვიწევს და ეს ძალაც უნდა გადაიქცეს რაღაც პოლიტიკურ მონსტრად. საერთოდ კარგ მთქმელს, კარგი გამგონე სჭირდება. ამიტომ ამბობს ეს ადამიანი, რომ არ მინდა მე ქართული ოცნება გადაიქცეს პოლიტიკურ მონსტრად, პირიქით მინდა, რომ ყველას თანაბარი პირობები ჰქონდეს და ამიტომ მე მივდივარ. ბიძინა ივანიშვილის გასვლა საკმაოდ სერიოზული ფაქტორია, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც გამოაკლდება ბიძინა ივანიშვილის მსგავსი ლიდერი, მინდა გითხრათ, რომ იმ პოლიტიკურ ძალას ძალიან გაუჭირდება ისეთივე პოზიციების შენარჩუნება პოლიტიკაში, როგორიც მანამდე ჰქონდა. ჩვენ გვყავდა მსგავსი ტიპის ლიდერები, ეს იყო გამსახურდია, ეს იყო გია ჭანტურია და ასე შემდეგ. თუმცა ეს ადამიანები ძალით გაიყვანეს პოლიტიკიდან, იცით, როგორც დასრულდა მათი სიცოცხლე და ფაქტიურად ვერც მათი პოლიტიკური ძალები შენარჩუნდნენ იმ შესაძლებლობებით, რა შესაძლებლობებიც თავიანთი ლიდერების პირობებში გააჩნდათ. ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდი ქართული ოცნება შეინარჩუნებს რაღაც პოზიციებს, მაგრამ მერე გაუჭირდება, ვინაიდან მას არ ეყოლება ასეთი ძლიერი ლიდერი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია.

– ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა კოალიცია დაიშალოს...

– მეეჭვება, კოალიციის დაშლა რომ მოხდეს. იმიტომ, რომ კოალიციის დაშლის შემთხვევაში, ის პარტიები, ვინც დღეს კოალიციაში იმყოფებიან, რეიტინგს საერთოდ დაკარგავენ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კოალიციის დაშლის შემთხვევაში, გამოდის, რომ პარლამენტში უმრავლესობაში გვრჩება ნაციონალური მოძრაობა, არა? მარტივი მათემატიკით რომ გადავიანგარიშოთ. ქართველ ხალხს ნაციონალური მოძრაობისთვის ნამდვილად არ მიუცია ხმა. ამიტომ ამას მოყვება საკმაოდ მაღალი მღელვარება საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, იმ პარტიების რეიტინგის დაცემა, ვინც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. მინდა გითხრათ, ამას არ დაუშვებს თავად ბიძინა ივანიშვილიც. გარკვეულ პერიოდში ალბათ დადგება საკითხი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების, ეს უკვე სხვა მომენტი და სხვა სიტუაციაა და ამ შემთხვევაში უკვე აღარ გამოვრიცხავ კოალიციის დაშლას. კი ბატონო, მუდმივი არაფერია, მაგრამ ამ ეტაპზე და ასე მოქმედ პარლამენტში კოალიციის დაშლა, ფაქტობრივად შეუძლებლადაც კი მიმაჩნია. პოლიტიკოსები არიან და კარგად იციან, რომ ამ შემთხვევაში მათი რეიტინგი საკმაოდ დაეცემა და რეიტინგს ვიღა ჩივის, ხალხის მთელი რისხვა სწორედ მათ დაატყდებათ თავს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ამხელა ზეწოლას ველარ უძლებს პრემიერიო, საუბარია იმის თაობაზეც, რომ თითქოს დასავლეთი ვანო მერაბიშვილის გამოშვებას სთხოვს ივანიშვილს და ასე აქტიურად ამიტომ ალაპარაკდნენ მერაბიშვილის მძიმე ავადმყოფობაზეო...

– კონკრეტულად ვანო მერაბიშვილზე მიდის საუბარი თუ კიდევ სხვაზე, ეს დეტალები ჩემთვის უცნობია. ოფიციალურად უმრავი პირია პასუხისგებაში მიცემული, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, გარკვეული ნაწილი დაპატიმრებულიც არის დაბალი და საშუალო ჩინის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე დიდი მაგათ შორის ვანო მერაბიშვილია, მაგრამ ევროპას ამის შესახებ ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. სახალხო პარტია აკეთებს პერიოდულად განცხადებებს, სხვა განცხადებები ჩვენ არ მოგვისმენია. თუმცა, ფაქტი ერთია და ამის შესახებ ბოლო პრესკონფერენციაზეც გააკეთა ბატონმა ბიძინამ განცხადება, რომ როგორც ევროპის მხრიდან, ისე ამერიკის მხრიდან, სააკაშვილმა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ლობისტური კომპანიების დახმარებით შეიქმნეს ისეთი იმიჯი, რომ ვიღაც ბარბაროსები მოვიდნენ ხელისუფლებაში და საწყალ დემოკრატებს ავიწროვებენ და მძიმე მდგომარეობაში ჰყავთ ჩაყენებული. ეს ფაქტია და ამ რეალობის წინაშე ჩვენ ვდგავართ. მე ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც არიდებს თავს ხელისუფლებას ივანიშვილი, რომ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მიეცეს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც დარჩება ხელისუფლების სათავეში. რეალურად პასუხიც გასცეს ევროპას, ასევე თუ ვინმე დასაპატიმრებელია და პასუხისგებაშია მისაცემი, მიეცეს და არ იქნეს შეზღუდული რაღაც გარე ძალების ზემოქმედებისაგან. ბოლოს და ბოლოს. ხომ უნდა გამოვიდეთ ამ ვასალი სახელმწიფოს როლიდან. ვითომ მეგობრები არიან ეს სახელმწიფოები, თვალში ნაცარს გვაყრიან, გამოდიან და გვეუბნებიან, თურმე დემოკრატები ყოფილან ისინი, ვინც ჩვენი სისხლი დალია 9 წლის განმავლობაში. ძალიან ბევრი რამ ერთმანეთთან დაკავშირებულია და ნელ-ნელა ყველაფერს დაინახავს ხალხი.

– თქვენ ფიქრობთ, რომ გარედან უფრო შეძლებს ამ ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენას?

– დიახ, მე ვფიქრობ, რომ ასე იქნება, რადგან მასზე ზეწოლა ვეღარ იქნება. ხოლო ის გუნდი, რომელიც დარჩება ხელისუფლებაში, არის მოწოდებული იმისთვის, რომ გაატარონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც სამართლიანობას აღადგენს. კი ბატონო, ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენს პარტნიორ ევროპელებს და ამერიკელებს, მაგრამ უნდა დააყენონ ისინი ფაქტების წინაშე. ფაქტი კი ის არის, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრებს, ყველს არა, მაგრამ მათ უმრავლესობას, ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული.

– თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, როდესაც ის არ იქნება პოლიტიკაში, როგორ უნდა შეძლოს პროცესების მართვა?

– უამრავი ბერკეტი არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში, რომელთა მეშვეობითაც წარმატებით არის შესაძლებელი აიძულოს ხელისუფლება, გაატაროს ის პოლიტიკა, რომელიც ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი და საჭირო. მსოფლიოში ამის უამრავი მაგალითები არსებობს. ბევრი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, მინდა გითხრათ, მსოფლიო პოლიტიკაში უფრო ავტორიტეტულია, ვიდრე პოლიტიკური პარტია. თანამედროვე პოლიტოლოგიის მეცნიერებას თუ გადავხედავთ, დღეს აქცენტები პოლიტიკურ პარტიებზე მეტად კეთდება ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ხშირ შემთხვევაში პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული ხდებიან, ანგარიში გაუწიონ ასეთ ძლიერ არასამთავრობო ორგანიზაციებს. დამიჯერეთ, ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად შეუძლია ჰქონდეს ძლიერი და გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ანგარიშს გაუწევს ნებისმიერი ხელისუფლება, ეს იქნება კოალიცია ქართული ოცნება თუ მომავალში სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები.

– ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ მომავალში სერიოზულ რყევებს არ უნდა ველოდოთ?

– არა, სერიოზული რყევები არანაირად არ იქნება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. პროცესები მიდის აბსოლუტურად ნორმალურად, გააზრებულად და მიზანმიმართულად.

– რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, თქვენ ამის საჭიროებას ხედავთ, მაგრამ ამას არ იზიარებს უმრავლესობა...

– პოლიტიკა ისეთი რამ არის, ბევრ რამეს შეიძლება არ ეთანხმებოდე, მაგრამ შემდგომ მოგიწიოს დათანხმება. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები და როდის დადგება საჭიროება ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, დღევანდელი პარლამენტი რომ ვერ ასახავს რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას, ესეც ფაქტია. მეორე მომენტიცაა, გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალებიც, არიქა და ვარსკვლავებს რომ ვერ ეთამაშებიან, ესეც ფაქტია. ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ ნაციონალური მოძრაობა წარმოდგენილია მეორე პოლიტიკურ ძალად პარლამენტში და ამას ვერ ეგუება ქართველი ხალხი. თუმცა სახელმწიფოებრიობისთვის უკეთესია, რომ ყველაფერი კონსტიტუციურ ვადებში განხორციელდეს, თორემ ნაციონალები რისი ღირსიც არიან, ეს გასაგებია. მე არ გამოვრიცხავ, რომ გამწვავდეს სიტუაცია, მოვლენები განვითარდეს ისეთნაირად, რომ დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. არც ამაშია დიდი ტრაგედია. ჩატარდეს და ამით კიდევ უფრო დაიხვეწება პოლიტიკური სპექტრი საქართველოში და, მით უმეტეს, პარლამენტში. ამიტომ ამაში რაიმე გაოცარს და ტრაგიკულს მე ვერ ვხედავ. ეს საკითხი ალბათ ადგილობრივი არჩევნების პერიოდისთვის დადგება.

– ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმასაც თუ ვინ გახდება პრეზიდენტი...

– ამ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში, ვადამდელ არჩევნებს ვგულისხმობ, გეთანხმებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ვინაიდან მარგველაშვილი შეეცდება, რომ არ ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, მე მისი წინასაარჩევნო სლოგანიდან გამომდინარე გესაუბრებით, რასაც ვისმენ. ბურჯანაძე კი შეეცდება, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მინდა გითხრათ, რომ ბაქრაძეს არც კი განვიხილავ პრეზიდენტობის კანდიდატად.

– ბურჯანაძეს რა შანსები აქვს?

– არჩევნებია და ამ დროს ყველას თანაბარი შანსი აქვს. ყველაფერი ამომრჩეველზეა დამოკიდებული, ასევე დიდ წილად დამოკიდებულია თავად კანდიდატებზე, რა პიარტექნოლოგიებს გამოიყენებენ, რამდენად აქტიურები იქნებიან, ამაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. წინასწარ პროგნოზის გაკეთება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში ტირანია არსებობს და იცი, რომ აგერ არის ბატონო სააკაშვილი და მიიღებდა თუ არ მიიღებდა ხმებს, მაინც ის იყო გამარჯვებული. მათ შემთხვევაში არჩევნების შედეგების გათვლა წინასწარ იყო შესაძლებელი, თუმცა საპარლამენტო არჩევნებში მაინც ვერ გათვალა სააკაშვილმა. როდესაც დემოკრატიული საარჩევნო გარემოა და როდესაც კანდიდატებს ეძლევათ სრული თავისუფლება წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში, აქ შედეგის გათვლა ძალიან ძნელია. მარგველაშვილს ზურგს უკან უდგას ქართული ოცნება, ბიძინა ივანიშვილი, ყველაზე რეიტინგული ძალა საქართველოში... ბურჯანაძეს თავის მხრივ ბეგრაუნდში აქვს თავისი პოლიტიკური წარსული. ალბათ ეს გამოცდილება ბევრ ადამიანს არ აქვს საქართველოში... ახლა რამდენად მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს თითოეული ამომრჩევლის ნება და სურვილია. მე ვფიქრობ, რომ ეს ორი კანდიდატი იბრძოლებს რეალურად პრეზიდენტობისთვის. პროგნოზების კეთება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნაკლებად მიზანშეწონილად მიმაჩნია. ამას გადაწყვეტს ქართველი ხალხი, როდესაც საარჩევნო ყუთთან მივა. ვის მეტი შანსი აქვსო და მაინც ვიტყვი, რომ მარგველაშვილი ბევრად წინ არის, იმის გათვალისწინებით, რომ მას უკან ბიძინა ივანიშვილი და ქართული ოცნება უდგას.

კახეთში „ქართული ოცნების“ 60-მდე წარმომადგენელი ბურჯანაძის პარტიაში გადავიდა

პარტია „ქართული ოცნების“ პანკისის ხეობისა და ახმეტის საარჩევნო შტაბი, დღეს 60-მდე წევრმა დატოვა და ისინი ნინო ბურჯანაძის ,,დემოკრატიული მოძრაობის“ რიგებს შეუერთდნენ.

როგორც ,,ნიუსპრესს“–ს კახეთის რეგიონში, ,,დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო შტაბის უფროსმა ვალერი შოშიაშვილმა განუცხადა, აღნიშნული პროცესი უკვე რამდენიმე კვირაა გრძელდება და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები ნინო ბურჯანაძის პარტიის რიგებს ეტაპობრივად უერთდებიან.

„11 სექტემბერს კი „ქართული ოცნების“ 60-მდე წევრმა, მანდატები ერთდროულად ჩააბარა და „დემოკრატიულ მოძრაობას“ შეუერთდა“ – განაცხადა შოშიაშვილმა.

მისივე თქმით, კოალიციიდან დემოკრატებში გადასული შტაბის წევრები, საკუთარი პოზიციის ცვლილებას, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების თანამდებობზე უკან დაბრუნებითა და კოჰაბიტაციური პოლიტიკით ხსნიან.

შოშიაშვილის თქმითვე, ბურჯანაძის პარტიაში, გასული თვის განმავლობაში, მხოლოდ კახეთის რეგიონში, ,,ქართული ოცნებიდან“ უკვე 300-მდე ადამიანმა გადაინაცვლა.

ნიუსპრესი

კობა დავითაშვილი: „ნაციონალები თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნონ!“

შორენა მარსაგიშვილი

ონავარი დეპუტატი კობა დავითაშვილი არ ისვენებს და ინიციატივას-ინიციატივაზე აცხობს. ამჯერად მისმა ინიციატივამ ნაციონალური წიოკი გამოიწვია. მისი შემოქმედებით არც მეოცნებეები აღფრთოვანებულან. სამაგიეროდ ერი დარჩა აღფრთოვანებული.

დავითაშვილმა ნაციონალებზე აკრძალვების დაწესება მოითხოვა. უფრო კონკრეტულად, დეპუტატი პარლამენტში ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შემოდის, რომელიც საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს და ნაციონალური მოძრაობის პირებს თანამდებობრივ შეზღუდვას უწესებს.

– ჩემს მიერ ინიცირებული კანონის მიზანი საერთაშორისო სტანდარტების, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების გათავლისწინებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთაა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების, ტოტალური და ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, – აცხადებს კობა დავითაშვილი.

დავითაშვილის ინიციატივის მიხედვით, კანონში „თავისუფლების ქარტია“ უნდა დაემატოს ახალი მუხლი. რომლის მიხედვით, განსაზღვრულ თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნონ პირები, რომლებიც პარტია ნაციონალური მოძრაობის თანამდებობის პირები იყვნენ. ასევე თუკი ამ პირებს ამ კანონით განსაზღვრული თანამდებობა უკავიათ, ვალდებული არიან კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში აღნიშნული თანამდებობიდან გადადგნენ. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს, რომ განსაზღვრულ თანამდებობაზე არ შეიძლება, დანიშნულ ან არჩეულ იქნან პირები, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლები და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს.

დავითაშვილის ინიციატივა როგორც უკვე ავღნიშნეთ, მეოცნებეებმაც დაიწუნეს და ნაციონალებმაც. ამის მიუხედავად მის ინიციატივაზე მაინც მოუწევთ მსჯელობა. „ქართული ოცნების“ წევრები კობა დავითაშვილის ინიციატივას მთლად სერიოზულად არ აღიქვამენ. მიაჩნიათ, რომ ეს ინიციატივა წინასაარჩევნო პიარია და მეტი არაფერი.

დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ დავითაშვილის კანონპროექტს პერსპექტივა არ აქვს.

– ეს არის პიარ-სვლა, არავითარი პერსპექტივა ამ კანონს არ აქვს, პირადად მე ასე ჰაიჰარალეზე კანონპროექტს მხარს დავუჭერ თუ არა, ვერ ვიტყვი, რადგან კანონპროექტი უნდა წავიკითხო, თუმცა მე არ მიმაჩნია, რომ კობა დავითაშვილი ახლა ერთდროულად საპრეზიდენტო კანდიდატიც იქნება, კანონშემოქმედიც და თავის სასარგებლოდ ან თავის საწინააღმდეგოდ კანონებს შემოიღებს, ეს არის, უბრალოდ, ჩვეულებრივი პიარ– სვლა, რაიმე სერიოზული კავშირი კანონშემოქმედებასთან მას არ აქვს, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ლევან ბერძენიშვილი.

დეპუტატი თამარ კორძაია კი მიიჩნევს, რომ კობა დავითაშვილის მიერ აღნიშნული კანონპროექტის ინიცირება წინასაარჩევნო მიზნებს ემსახურება.

– ეს არის აბსოლუტურად გამიზნული სვლა, პოლიტიკური გადაწყვეტილება, წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი, მას სურს თემა აწიოს იმით, რომ ის არავითარ კოჰაბიტაციაში არ შედის ნაციონალურ მოძრაობასთან და ა.შ. და ის ებრძვის, რაც ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის დროს. ამას ებრძვის ქართული ოცნებაც, მაგრამ ამ ბრძოლამ არ უნდა მიიღოს დაუსაბუთებელი და უსამართლო ხასიათი, რასაც თავისი არსით ებრძვის „თავისუფლების ქარტია. კანონპროექტი სამართლებრივადაც გაუმართავია. როდესაც შემოგაქვს ცნებები ტოტალიტარული და ავტორიტარული, კანონში უნდა იყოს განმარტება, რა მოიაზრება ამ კანონისთვის ტოტალიტარულ და ავტორიტარულ რეჟიმებში და არა სამართლებრივ-თეორიული განმარტებები. ვიღაცას მოუნდეს და ნაციონალური მოძრაობა ჩათვალოს ტოტალიტარულ და ავტორიტარულ რეჟიმად, ეს ასე არ ხდება, ამას სჭირდება დასაბუთება. უნდა დავამტკიცოთ მაშინ, რომ ნაციონალური მოძრაობა და მისი იდეოლოგია, ისევე როგორც ფაშიზმი და ისევე როგორც კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმი, იყო ტოტალიტარული თუ ავტორიტარული. მე რაღაც არ მახსოვს და არ წამიკითხავს არსად, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავის პოლიტიკურ დოკუმენტებში, წესდებაში ეწეროს, რომ მისი მიზანია დაამყაროს ტოტალიტარული და ფაშისტური რეჟიმი ამ ქვეყანაში, – აღნიშნა „ნეტგაზეთთან“ საუბარში თამარ კორძაია.

ნაციონალური მოძრაობის წევრი დავით საყვარელიძე აცხადებს, რომ კობა დავითაშვილს ყოველთვის ახასიათებდა პოპულისტური და არაფრისმთქმელი ინიციატივებით გამოსვლა:

– ეს არის სრული სისულელე, ბატონი კობას მოსაზრებებს თვითონ უმრავლსობა არ უყურებდა სერიოზულად და ამიტომ მოუვიდათ კონფლიქტი, იმდენად პოპულისტი და არაფრისმთქმელი იყო, და რა კომენტარი შეიძლება გავაკეთო ამ ინიციატივასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ ვიცი, – აცხადებს საყვარელიძე.

გაცილებით მწვავე შეფასებებს მომავალ კვირაში მოვისმენთ. ამ ინიციატიბის გამხილვა სწორედ მომავალ კვირაში იგეგმება. სიმწვავეს კობა დავითაშვილისგანაც უნდა ველოდოთ. საუბარი დავითაშვილს არავისგან ესწავლება. ამ ინიციატივას უკვე უამრავი მხარდამჭერი გამოუჩნდა.

ივანიშვილს მარგველაშვილის გამარჯვება არ უნდა?!

თამარ ნინიძე

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებას მისი თანამდებობიდან წასვლის შესახებ თვალიც და ყურიც შეეჩვია, მაგრამ ამ ბოლო დროს ივანიშვილი ისეთ კომენტარებს ავრცელებს მედიით, რომ დაბნეულობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არათუ იკლებს, უფრო მზარდი ხდება.

ქართულმა ოცნებამ წინასაარჩევნოდ საგარეო პრიორიტეტებად ევროინტეგრაცია და ნატოში საქართველოს გაწევრიანება დაისახა, ყველა წინასაარჩევნო შეხვედრაზე კოალიციის სუბიექტები ამ თემით იწყებდნენ საუბარს, მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის ზოგიერთი სუბიექტი ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო, მაგალითად „მრეწველები“ და თოფაძე, ისინი მაინც იძულებული იყვნენ საკუთარი მოსაზრება უკან გაეწიათ და კოალიციის საერთო პოზიციას შეგუებოდნენ. ახლა კი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში მოულოდნელად ისეთმა თემამ ამოიწია, როგორიც არის ევრაზიულ კავშირში გაერთიანების პერსპექტივა. კოალიციის წევრმა გია ვოლსკიმ აღიარა, რომ კოალიციის შიგნით ამ თემაზე დისკუსიები მიმდინარეობს. ბიძინა ივანიშვილმა ამ საკითხის ირგვლივ დებატების გაშლას ფაქტობრივად მწვანე შუქი აუნთო, თავისი ცნობილი განცხადებით, რომ ევრაზიული კავშირი, რომელიც ჯერ არ შექმნილა, თურმე საინტერესო და მიმზიდველია და ამ საკითხის განხილვა უნდა დაიწყოს და გამორიცხული არ არის, საქართველოსთვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს.

თუ გავიხსენებთ „ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან სულ ცოტა ხანში ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებას, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკა თურმე ძალიან საინტერესოა და ეს ქვეყანა მაგალითად უნდა იქცეს ჩვენთვის, არ უნდა გაგვიკვირდეს ჯერ არშექმნილ ევრაზიულ კავშირზე ასეთი აქტიური საუბრების დაწყება. სამწუხაროდ, კოალიციის საგარეო კურსი არათანმიმდევრულია, კოალიცია აცხადებს მთავარ საგარეო პრიორიტეტად ევროინტეგრაციას და ამავე დროს მისი ლიდერი სომხეთს ისეთ ავტორიტეტულ ქვეყნად ასახელებს, რომელსაც საქართველომაც უნდა მიბაძოს. არადა, ცნობილია, რომ სომხეთი დიდი ხანია რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და ევროპაში ინტეგრაციაზე დეკლარირებულ განცხადებებსაც კი ერიდება არათუ აქტიურობას ამ კუთხით. სომხეთისთვის რუსეთი არა მარტო სტრატეგიული პარტნიორია, არამედ ისეთი საიმედო ქოლგაა, რომლის ქვეშ მყოფი სომხეთი მეზობელი ქვეყნების მიმართ კონფრონტაციულ რეჟიმში თავს კომფორტულად გრძნობს. პრაგმატული მოსაზრებებით მაინც, პოლიტიკოსმა მსგავსი განცხადებები არ უნდა აკეთოს, მაგრამ ივანიშვილი აღიარებს, რომ მისთვის პოლიტიკაში ყოფნა დიდი დისკომფორტია და ის პრაქტიკულად არც არის პოლიტიკოსი. მის ამ განცხადებას მაშინვე მოჰყვა ირონიული შენიშვნები პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან, საგარეო უწყებამ კი საჭიროდ ჩათვალა, გარკვეული განმარტებები მიეცა მედიისთვის, თუმცა გასროლილ სიტყვას უკან ვერ მოაბრუნებ და ივანიშვილის ეს „ბრძნული“ გამონათქვამი მის პოლიტიკურ კარიერას აშკარად დაასამარებს, მიუხედავად ამისა, ივანიშვილს ეს არ ადარდებს და უფრო უცნაურ მოსაზრებებს გვთავაზობს.

სულ ახლახან რადიო თავისუფლებამ გაავრცელა მისი კომენტარი, რომელშიც ის ამბობს, რომ რუსეთი შესაძლოა მომავალში ნატოსა და ევროკავშირის წევრიც კი გახდეს. ათეული წლებია, რუსეთი სწორედ დასავლეთისა და ნატოს წინააღმდეგ დროშებს აფრიალებს და ჯერ იყო და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნატოს საპირწონედ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილი ქვეყნების გაერთიანება მოახერხა, ცივი ომის დასრულების შემდეგ კი იძულებული გახდა ამ ქვეყნებში აქტიური პატრიოტული მოძრაობების გამო შეგუებოდა მათ გაწევრიანებას ნატოში, იმის სანაცვლოდ, რომ მას კონტროლისთვის დარჩებოდა პოსტსაბჭოთა სივრცე, კერძოდ ე.წ. დსთ და არაბული ქვეყნები, ახლა კი თურმე რუსეთი თავად გახდება ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობასაც გამოჰკრავს ხელს. დასავლეთმა არაბული გაზაფხულებით მოახერხა რიგი ქვეყნები რუსეთის კონტროლიდან გამოეყვანა ერთადერთი საყრდენი რუსეთისთვის სირიაღა დარჩა და ახლა ის ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის ასადის რეჟიმის შენარჩუნებისთვის, პარალელურად კი ცდილობს არადიპლომატიური და არაჰუმანური მეთოდებით ზეგავლენა მოახდინოს პოსტსაბჭოთა სივრცეზე და აიძულებს დსთ-ს დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოებს, ჯერ საბაჟო კავშირში გაერთიანდნენ და შემდეგი ეტაპისთვის დიდი ევრაზიული გაერთიანებაც ჩამოაყალიბონ, სადაც რა თქმა უნდა, რუსეთს ისევ უფროსი ძმის და შემრიგებლის მისია დაეკისრება. პუტინის რუსეთი განცხადებების დონეზეც კი არ იტყვის იმას, რომ მას ევროკავშირში ან უფრო მეტიც, ნატოში უნდა შესვლა. ეს მის იმპერიულ პოლიტიკას გაანადგურებს და მის ამბიციებსაც ბოლოს მოუღებს, ამიტომ რაში დასჭირდა ისეთ შორსმჭვრეტელ ადამიანს და ბიზნესმენს, როგორიც ივანიშვილია, ასეთი უცნაური განცხადების გაკეთება, გაურკვეველია. არის მოსაზრება, რომ ივანიშვილი ცდილობს, ქართველები შეაჩვიოს იმ აზრს, რომ რუსეთი დასავლური ცივილიზაციის გზით ცდილობს განვითარებას და ამ პოზიციის დაცვით ნებისმიერ გაერთიანებაში შესვლა საქართველოსთვის სარგებლის მომტანი იქნება.

აქ საინტერესოა, მოვისმინოთ მისივე კოალიციის გამოკვეთილი ლიდერების, რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების კომენტარები, რომლებიც ლამის ტანზე იხევენ, ისე უნდათ საქართველოს ევროინტეგრაცია. ჯერჯერობით კოალიციის ეს ორი ძალა დუმს და არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

იქნებ ჯობდა კოალიციაში რომელიმე ჭკვიან პოლიტიკოსს ერჩია ივანიშვილისთვის, რომ ამ თემის წამოწევა არამომგებიანი იქნებოდა წინასაარჩევნოდ და ისედაც დაბნეულ ელექტორატს, კოალიციის არაცნობად სახეს მარგველაშვილს, რომელსაც ბიძინამ უკვე მიაყენა დარტყმა მისი თანადგომიდან წასვლის განცხადებით, კიდევ უფრო გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბიძინას მარგველაშვილის გამარჯვება არ უნდა და მას სულ სხვა მისია აქვს, რომელიც ბოლომდე უნდა მიიყვანოს. თუ მარგველაშვილი არ გაიმარჯვებს, უფრო მალე წავალ თანამდებობიდანო, ამშვიდებს ერს. თანაც ისეთ დროს აპირებს წასვლას, როცა მთავრობას უამრავი პრობლემა აქვს და მოვალეობებს თავს ვერ ართმევს სწორედ ვერტიკალში არსებული არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო.

ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ ბუნებრივია მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა დამტკიცდეს. ივანიშვილმა უკვე გამოხატა პირადი პოზიცია, რომ მთავრობაში სუსტ რგოლს პრაქტიკულად ვერ ხედავს. მოერიდა, დაესახელებინა კონკრეტული მინისტრები, რომელთა მუშაობითაც მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ არის, თუმცა ივანიშვილი დაასახელებდა თუ არა ვინმეს, ეს მაინც არაფერს შეცვლიდა, იმიტომ, რომ ეს სამთავრობო გუნდი ისედაც არაეფექტურია და საერთო ჯამში სუსტი რგოლი და ჯაჭვის გარღვევის საშიშროება კი არ იქმნება, არამედ სწორედ მთლიანად ჯაჭვია დაჟანგების საშიშროების წინაშე. ივანიშვილი არასწორად მოიქცევა, თუკი შეეცდება თავის გუნდს პარლამენტში თავს მოახვიოს თავისი შემცვლელი, შესაძლოა გუნდის შიგნით სავარაუდო შემცვლელებზე უკვე მიდის მსჯელობა, თუკი ევრაზიულ კავშირზე მსჯელობენ, ამაზედაც ისაუბრებენ, მაგრამ ვინ იქნება პრემიერის პოსტზე, ეს ახალი კონსტიტუციის პირობებში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საპაკაშვილის დროს ვინ დაინიშნებოდა ამ თანამდებობაზე. მომავალი პრემიერის ხელშია ქვეყნის მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტები, ვის დატოვებს მინისტრებად და ვის არა, არც ეს არის მეორეხარისხოვანი საკითხი.

კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი მარგველაშვილი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეკონომიკური სტაგნაცია დასრულდება და კერძო ბიზნესი და სახელისუფლებო რგოლები გამოცოცხლდებიან. თუმცა გამოცოცხლებისთვის ერთი წელიც საკმარისი იყო, რომ ეფექტურობა ადამიანებს ეგრძნოთ. იმ ფონზე კი როცა საგარეო პოლიტიკაში მოქმედი ხელისუფლება ასეთ უხეშ და საბედისწერო შეცდომებს უშვებს, საშინაო პოლიტიკაში რა მოხდება, ამის წარმოდგენაც კი რთულია. იმ შემთხვევაში თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, ეს მარგველაშვილის ბრალი არ იქნება, არამედ იმ გაურკვეველი პოლიტიკისა, რასაც დღეს კოალიციის ლიდერი ივანიშვილი და საპარლამენტო უმრავლესობა ატარებენ.

რიჩარდ ნორლანდი სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს

საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ყველა პარტიის აქტივისტს მუქარისა და ძალადობისაგან თავისუფალი საარჩევნო ატმოსფეროს შექმნისთვის ხელ შეწყობის თხოვნით მიმართავს. აღნიშნული შესახებ აშშ-ის საელჩოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული.

,,16 სექტემბერს აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ზუგდიდს ეწვევა. ვიზიტის მიზანია წინასაარჩევნო გარემოს გაცნობა 27 ოქტომბერს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ელჩი ნორლანდი შენიშნავს, რომ დღეს (11 სექტემბერს), ზუგდიდში ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი საარჩევნო შეხვედრის გამართვას აპირებს. შეერთებული შტატების ელჩი სთხოვს ყველა პარტიის აქტივისტს, ხელი შეუწყოს მუქარისა და ძალადობისაგან თავისუფალი საარჩევნო ატმოსფეროს შექმნას. ელჩი ნორლანდი სთხოვს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა ზომა სიმშვიდის დასაცავად“– აღნიშნულია განცხადებაში.

ელჩი აღნიშნავს, რომ სიამოვნებით იხსენებს თბილ დახვედრას ზუგდიდში ერთი წლის წინ.

,,მოუთმენლად ველოდები მშვიდ ზუგდიდში დაბრუნებას,“– აცხადებს შეერთებული შტატების ელჩი.

მედიანიუსი

უგულავა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დრაკონული გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს

თბილისის მერი გიგი უგულავა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მოუწოდებს, დრაკონული გადაწყვეტილებების კასკადი შეაჩეროს. საკრებულოს მიერ ამხანაგობების დაფინანსების შეჩერების შესახებ უგულავამ გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა.

„რომელიმე თქვენგანი თუ არის საპენსიო ასაკის და კორპუსის მიერ იყო არჩეული თავმჯდომარედ, სოციალური სუბსიდიების სააგენტო განგიხილავთ, როგორც საჯარო მოხელეს, მაგალითად, როგორც ქალბატონ სევდიას, მერიის ნებისმიერ თანამშრომელს და უხსნის პენსიას, თუ მაგალითად არის სოციალურად დაუცველი და არის 57 000 ქულის ქვემოთ და იღებდა სოციალურ პაკეტს, მასაც განიხილავს, როგორც სახელმწიფო საჯარო მოხელეს და უხსნის დახმარებას. თუ ხარ ომის ვეტერანი გიხსნიან დახმარებას, იმიტომ რომ თითქოს შენ ხარ საჯარო მოხელე, მაშინ როდესაც არც ერთი წესით და არც ერთი კანონით საჯარო მოხელედ არ შეიძლება განხილულ იქნას ამხანაგობის თავმჯდომარე“, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, იგივე პრობლემა აქვთ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ მეტროპოლიტენში.

,,ანუ ერთი უტვინო გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძვლად კომპეტენციის და ცოდნის ნაკლებობა ედო, მე ვგულისხმობ საკრებულოს გადაწყვეტილებას და პირდაპირ პოლიტიკურად იყო მოტივირებული, ეს ერთი გადაწყვეტილება დღეს გრძელდება სრულიად გაუგონარი და დრაკონული გადაწყვეტილებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მხრიდან. ოღონდ ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ვიგებთ, რომ ყველა ადამიანი არის დაზღვეული, რომ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა აქვს, იქ სოციალური პაკეტი გაიზარდა, მაგრამ სოციალური პაკეტის გაზრდა, რომელიც სამწუხაროდ, არ უნდა მოხდეს იმ ხალხის შევიწროების ხარჯზე, რომლებსაც სრულიად უსამართლოდ ექცევიან, თუ არის მაგალითად, დევნილი, მაგრამ იყო ამხანაგობის თავმჯდომარე, იმასაც მოეხსნა ანუ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მხრიდან გაწეული დახმარება, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს ეკუთვნოდა“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

მისი განმარტებით, მოქალაქეს სახელმწიფოს მხრიდან გაწეული დახმარება ეხსნება მარტო იმის გამო, რომ ეს ადამიანი საკუთარი კორპუსის მიერ იყო არჩეული თავმჯდომარედ.

,,ეს არის მიდგომა სოციალური სუბსიდიების სააგენტოსი. მე მინდა გულწრფელად ვთქვა, რომ არ მინდა დავიჯერო, რომ ეს გადაწყვეტილებები რაღაცნაირად ორკესტრირებულია და ეს თუ ორკესტრირებულია, მაშინ ეს არის სადამსჯელო ოპერაცია განხორციელებული საკუთარი მოქალაქეების მიმართ. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ნოემბრამდე აკრძალულია ბიუჯეტში რაიმე ცვლილების შეტანა და შესაბამისად, ამხანაგობების მიმართულებით, ჯერჯერობით, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, მაგრამ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უნდა მოვუწოდოთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს დრაკონული გადაწყვეტილებების კასკადი შეაჩეროს“, – განაცხადა უგულავამ.

მედიანიუსი

„9 სკოლის აშენება 23 მილიონამდე ლარი დაჯდება“

მერი ნამორაძე

16 სექტემბერს 19 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ვერ დაიწყებს. მიზეზი სარემონტო სამუშაოებია, რომლის დასრულება დროულად ვერ მოხერხდა. განათლების მინისტრი ვარაუდობს, რომ 2 კვირაში სამუშაო დასრულდება და სკოლებიც მზად იქნებიან, სასწავლო პროცესი ხარვეზების გარეშე დაგეგმონ.

განათლების სამინისტრო ერთ წელიწადში ქვეყნის მასშტაბით 9 საჯარო სკოლის შენობის აგებას გეგმავს. სხვადასხვა რეგიონში სკოლების აგების საჭიროება განისაზღვრა და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ჩართულობით საგარეჯოს, ქარელის, თეთრიწყაროს, ზესტაფონის, მარნეულის, მცხეთის, ჩოხატაურის და ახალქალაქის რაიონებში 1-1,5 წელიწადში მოსწავლეები ახალი შენობების კარებს შეაღებენ.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში სკოლა 1000 მოსწავლეზე იქნება გათვლილი; ქარელის რაიონის სოფელ აბანოში – 90 მოსწავლეზე; თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში – 144 მოსწავლეზე; ზესტაფონის რაიონის სოფელ სადგურ სვირში – 120 მოსწავლეზე; მარნეულის რაიონის სოფელ ახალ დიოკნისში – 144 მოსწავლეზე; მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში – 240 მოსწავლეზე;, წილკანში – 250 მოსწავლეზე; ჩოხატაურის რაიონში, სოფელ წიფნარში – 60, ახალქალაქის სოფელ ბუღაშენში კი – 120 მოსწავლეზე იქნება გათვლილი.

გუშინ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა გიგა უმეკაშვილმა გაწეული სამუშაოები შეაჯამეს. მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ ეტაპზე დასრულებულია სამი სოფლის – ლამბალოს, სამღერეთისა და ახალი დიოკნისის საჯარო სკოლების საპროექტო სამუშაოები, დანარჩენ 6 სკოლაში კი პროცესშია საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოები 2013 წლის ნოემბრის ბოლოს დაიწყება. გეგმის თანახმად, წილკნის, მუხრანისა და აბანოს სკოლები კონტინგენტს უკვე მომავალი სასწავლო წლიდან მიიღებენ. 2014 წლის ბოლოს კი დასრულდება ბუღაშენის, ახალი დიოკნისის, სამღერეთის, სადგურ სვირისა და წიფნარის საჯარო სკოლების მშენებლობაც. სოფელ ლამბალოში კი პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე, სამუშაოები წელიწად-ნახევარს გასტანს.

– შევარჩიეთ 9 სკოლა, სადაც ვფიქრობთ, რომ ახალი სკოლის აშენების გადაუდებელი საჭიროებაა. საპროექტო სამუშაოები ყველა სკოლაში დასრულებული იქნება ოქტომბრის ბოლოსათვის, გამოცხადდება ტენდერები, რაც მოგვცემს საშუალებას, ნოემბრის ბოლოდან ამ ყველა სკოლაში დავიწყოთ სამშენებლო სამუშაოები, – განაცხადა სანიკიძემ.

რაც შეეხება ფინანსურ დანახარჯებს, 9 სკოლის აგება 23 მილიონამდე ლარი დაჯდება. მინისტრმა განმარტა, რომ ეს იქნება მაქსიმალურად ეკონომიურად გაკეთებული და სხვადასხვა მასშტაბის სკოლებს სხვადასხვა დანახარჯი ექნება. საბიუჯეტო სახსრები ამ კუთხით არ გაზრდილა, სამინისტრო იმის გამოყენებას აპირებს, რაც ისედაც გათვალისწინებული იყო ამ კუთხით.

– მშენებლობას რომ თავი დავანებოთ და სარეაბილიტაციო ნაწილი განვიხილოთ, წელს 700 სკოლის რეაბილიტაცია მოვახდინეთ, 100 სკოლის რეაბილიტაციისთვის 2012 წელს თითქმის იგივე იყო დახარჯული. ბევრად უფრო კომპლექსური მიდგომით და კარგი შედეგით მოვახერხეთ და გავაკეთეთ 700 სკოლა. აქედან გამომდინარე, ძალიან ვუფრთხილდებით საბიუჯეტო რესურსებს, ძალიან კარგად ვგეგმავთ. სკოლების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მივიღეთ და შეიძლება ისიც ითქვას, რატომ აქამდე არ დავიწყეთ მშენებლობა – სწორედ ამ მიზეზების გამო, რომ წესიერად დაიგეგმოს, მოხდეს რესურსების სწორად გადანაწილება, შევიმუშაოთ ოპტიმალური გეგმები, დავზოგოთ საბიუჯეტო სახსრები. ეს აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ დროს. მთავარია საპროექტო სამუშაოები და ხარისხი. აქ იყო ძირითადი პრობლემა, რადგან ბევრ შემთხვევაში არ იყო სწორი გათვლები. შეიძლება გაკეთდეს ერთი, მაგრამ იმის გამო, რომ ძირითადი სამუშაო არ არის გაკეთებული, ისიც ფუჭდება და უშედეგოა. საბიუჯეტო სახსრების დაზოგვიდან და სამუშაოების კარგად დაგეგმვიდან გამომდინარე, დრო ყოველთვის მეტი მიდის, ოღონდ ბევრად ეფექტური შედეგები გვაქვს, – აღნიშნა მინისტრმა.

სკოლის ტერიტორიები სოფლის ბავშვებისთვის ფეხით სასიარულო მანძილის გათვალისწინებით შეირჩა. თუმცა, სავარაუდოდ სხვა, მიმდებარე სოფლების სკოლებიდანაც შეიძლება მოხდეს ახალ სკოლებში მოსწავლეთა გადასვლა. შორი გზიდან მომავლებს მინისტრი სკოლის ავტობუსს ჰპირდება. სანიკიძე ფიქრობს, რომ ეს პროცესი არცთუ ურიგო იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ძველი, ბავშვებისგან გამოცარიელებული ინფრასტრუქტურის აღდგენაც მოხდება და შემდეგ ისევ დაუბრუნდებიან მოსწავლეები მშობლიური სოფლის სკოლებს.

9 სკოლის ერთი სტანდარტით აშენება ვერ მოხერხდება, რადგან კლიმატი და გეოგრაფიული გაშლა არ იძლევა ამის საშუალებას. ახლად აშენებულ სკოლებში იქნება ადაპტირებული გარემო. სხვათა შორის, ყველა ახალ სკოლას ისეთი სტანდარტის სპორტული დარბაზი ექნება, რომ საერთაშორისო ტურნირების გამართვის შესაძლებლობაც იქნება.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფას, მინისტრი ირწმუნება, რომ მოთხოვნა მაქსიმალურად დაკმაყოფილებულია და მეორადი წიგნების გამოყენება საჭირო არ გახდება. თუმცა ამ რეზერვზე სამინისტრო საჭიროებიდან გამომდინარე უარს არ იტყვის. მინისტრის თქმით, ეს არის წიგნები, რომელიც ძალიან კარგ მდგომარეობაშია და განათლების სამინისტრო არ აპირებს გადაყაროს ვარგისიანი პროდუქტი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული. წიგნები ყველგან დარიგებულია და ამ ეტაპზე სკოლებს შიგნით, კლასებში გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს, რომელიც კვირის ბოლომდე დამთავრდება.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, იქ წიგნებს სახელმწიფოსგან მიიღებენ სოციალურად დაუცველები, 2008 წლის ომში დაღუპული ოჯახების შვილებს, არის კიდევ რამდენიმე კატეგორია, რომლებიც კერძო სკოლებშიც უფასოდ მიიღებენ სახელმძღვანელოებს. დანარჩენ შემთხვევაში, კერძო სკოლების წიგნებით მომარაგება დაგეგმილი არასდროს ყოფილა. მათთვის წიგნები ხელმისაწვდომი იქნება შესაბამის მაღაზიებში.

მაია ფანჯიკიძე ჟენევაში გაეროს უმაღლეს კომისრებს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, ჟენევაში იფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან ნავი პილაისთან და ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან ანტონიო გუტიერესთან გამართა შეხვედრა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გაეროს უმაღლეს კომისრებთან შეხვედრაზე, მინისტრმა ოკუპირებული რეგიონების გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და მიწაყრილების გავლების საკითხი დასვა და გაეროს შესაბამის ოფისებს, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ინფორმაცია მიაწოდა.

მაია ფანჯიკიძემ გაეროს ოფისში გამართულ შეხვედრებზე, ისაუბრა ასევე ახალი ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გატარებულ რეფორმებზე.

ნიუსპრესი

სოზარ სუბარი თანამშრომლებს მიმართავს

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი, 27 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით უწყების თანამშრომლებს მიმართავს და მათ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვისკენ მოუწოდებს.

„სამინისტრო პატივს სცემს ყველა ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლებას და მზადაა სამინისტროს თითოეული მოსამსახურის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის თავისუფალი არჩევანის უფლება დაიცვას.

მოგმართავთ სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს, დაიცვათ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შესაბამისად დაემორჩილოთ არსებულ შეზღუდვებს.

კერძოდ, შეგახსენებთ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება დაინიშნონ სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები და ასევე სამინისტროს სისტემეში დასაქმებული სამხედრო მოსამსახურეები; სამინისტროს თანამშრომელს არ აქვს უფლება იყოს დამკვირვებელი საარჩევნო კომისიაში ან საარჩევნო უბანზე; სამინისტროს თანამშრომელს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოება ან აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს; წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მიწოდება ან დაპირება; სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინების დროს აკრძალულია ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა“ - ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც მინისტრი მისი უწყების თანამშრომლების მისამართით ავრცელებს.

ნიუსპრესი

ბათუმის გეზში 65 აბი სუბოტექსი აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტ „ბათუმი“-ს გაფორმების ეკონომიკურ ზონის თანამშრომლებმა, სატვირთო ავტომანქანის მისაბმელის უკანა ნაწილის დათვალიერებისას, წებოვანი ლენტით შეკრული შავი ფერის პოლიეთილენის პარკი აღმოაჩინეს. პაკეტი, მაგნიტების საშუალებით, ავტომანქანის სანომრე ნიშნის უკანა მხარეს იყო მიმაგრებული. ინფორმაცია ამის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს მიეწოდა. შეტყობინების საფუძველზე შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, აგრეთვე ექსპერტ-კრიმინალისტები გამოცხადდნენ. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, პოლიეთილენის პარკში 65 აბი ნარკოტიკული ნივთიერება „სუბუტექსი“ იქნა აღმოჩენილი. გამოძიებას აჭარის შს მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

გამოკითხულთა უმრავლესობა „ევრაზიულ კავშირში“ გაერთიანებას მომგებიანად არ მიიჩნევს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან 11 სექტემბრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანება, საქართველოსთვის მომგებიანი არ იქნება.

კითხვაზე – „თქვენი აზრით, მომგებიანი იქნება თუ არა საქართველოსთვის ,,ევრაზიულ კავშირში“ გაერთიანება,“ გამოკითხულთა 51,4 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 35,1 პროცენტი კი საწინაღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა კი, 13,5 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

სასამართლომ ვანო მერაბიშვილის ბიძას 3 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა

ახალციხის სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის ბიძას ლევან თუმანიშვილს 3 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა. პროკურატურა მისთვის 50 ათასი ლარის შეფარდებას ითხოვდა. ლევან თუმანიშვილს ბრალად ყალბი საკრედიტო საანგარიშწორები ბარათის დამზადება და გამოყენება ედება. ბრალდებულის ადვოკატები აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში გეგმავენ.

,,მოთხოვნილი იყო გირაო 50 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ, დაცვის მხარე ვითხოვდით, რომ არ შეფარდებოდა არცერთი აღმკვეთი ღონისძიება. ამის არგუმენტი იყო ის, რომ ერთი და იგივე საქმეში რამდენიმეჯერ არ შეიძლება შეეფარდოს, ერთი და იგივე ბრალზე. მოსამართლემ ნაწილობრივ გაითვალისწინა ჩვენი არგუმენტაცია და შეუფარდა გირაო 3 ათასი ლარის ოდენობით“– განაცხადა თუმანიშვილის ადვოკატმა მამუკა მდინარაძემ.

შეგახსენებთ, რომ ლევან თუმანიშვილის სასამართლო პროცესს გუშინ პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი განცხადებით გამოეხმაურა და ხელისუფლება მისი განცხადებების გამო, ოჯახის წევრების დევნაში დაადანაშაულა.

მედიანიუსი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით სომხეთში გაემგზავრა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე მონაწილეობას მიიღებს ცენტრალური აზიის, შავი ზღვის რეგიონისა და ბალკანეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის 30-ე შეხვედრაში, რომელიც 12-14 სექტემბერს სომხეთის რესპუბლიკაში გაიმართება. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, შეხვედრის მთავარი სადისკუსიო თემაა – კრიზისის შემდგომი გაკვეთილები: ახალი მიდგომები და მომავალი გამოწვევების დაძლევის გზები. შეხვედრის მონაწილეები ასევე იმსჯელებენ ახალ გლობალურ მარეგულირებელ სტრუქტურაზე, მსოფლიო ეკონომიკისა და ძირითადი საფინანსო ბაზრების პერსპექტივებსა და დოლარიზებული ეკონომიკის გამოწვევებზე.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი ქადაგიძე ორმხრივ შეხვედრებს გამართავს უკრაინის, მოლდოვეთის, ყაზახეთისა და სხვა ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებთან.

მედიანიუსი

მიხეილ სააკაშვილი: „ჩემს თვითმფრინავში ივანიშვილი ჩასკუპდა“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ადრე მას საკუთარი თვითმფრინავით ფრენის გამო აკრიტიკებდნენ, ახლა კი თავადვე დასხდნენ ამ თვითფრინავზე და ყველა ოფიციალურ ვიზიტზე დაფრინავენ.

„გახსოვთ, რა ამბავი ჰქონდათ ატეხილი ივანიშვილებს და სხვებს იმ თვითფრინავთან დაკავშირებით, რომლითაც მე დავფრინავდი?“. თვითონ რომ ჩასკუპდა ახლა ამ თვითფრინავში და ყველა ოფიციალურ ვიზიტზე დაფრინავს, ეს როგორ აიხსნება? ახლა აღარ უქმნის მას დისკომფორტს ამ თვითმფრინავის არსებობა, სალონი და მარკა, თუ როგორ არის ეს? და ამ თვითფრინავის ფონზე რომ იძლევა ამაყად ინტერვიუებს, ეს როგორ აიხსნება? ამიტომ, ყველა ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ნიუსპრესი

დავით ბაქრაძეს ზუგდიდში „გასაბერი ფალოსი“ დაახვედრეს

ზუგდიდის ცენტრალურ ბულვართან გამართულ აქციაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს, დავით ბაქრაძეს გასაბერი ფალოსი დაახვედრეს. ორგანიზატორებმა ფალოსი სახედარზე დაამაგრეს და აქციაზე ჩამოატარეს.

აქციის ორგანიზატორები კახა მიქაია და ლალი ანთია აცხადებდნენ, რომ ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის დაგეგმილ ვიზიტს აპროტესტებენ. მათი თქმით, ბაქრაძეს ზუგდიდში ჩასვლის მორალური უფლება არ აქვს.

ამბები.ge

ყურძნის ფასი ხელოვნურად აღარ გაიზრდება

მერი ნამორაძე

გუშინ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, შალვა ფიფიამ სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა შეაჯამა და მედიას „შეღავათიანი აგროსესხების პროექტის“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაცია გააცნო. პროექტს მინისტრმა წარმატებული უწოდა და აღნიშნა, რომ 10 სექტემბრის მდგომარეობით, პროექტის სამი კომპონენტის ფარგლებში გაიცა 5,343 სესხი, ჯამური თანხით – 94.103 126 ლარის ოდენობით. პროექტის მე-3 კომპონენტში, რომელიც საწარმოების ასამოქმედებლად არის გათვალისწინებული, უკვე დაფინანსებულია 49 ახალი საწარმო. მე-3 კომპონენტის ფარგლებში გადამამუშავებელი საწარმოებისთვის გაცემული სესხების მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი შეადგენს 12 თვეს, რაც გულისხმობს, რომ პირველი პროდუქციის გამოშვება-რეალიზაციისთვის ბანკები მეწარმეებს აძლევენ 12 თვეს. გამომდინარე აქედან, საწარმოების შესაქმნელად მაქსიმალური ვადა შესაძლებელია განისაზღვროს 12 თვით, ხოლო მინიმალური ვადა დამოკიდებულია საწარმოს ზომასა და პროფილზე.

როგორც სამინისტროში ამბობენ, პროექტის მე-4 კომპონენტი – შეღავათიანი აგროლიზინგი – ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი საწარმოებისა და დანადგარების განვითარებას იქნება ეს სასათბურე მეურნეობების შექმნა, ასევე შენახვა, დაფასოება, გადამუშავება, შესაფუთი მასალის წარმოება.

მე-5 კომპონენტის ფარგლებში გაიცემა შეღავათიანი სესხები ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის – 15 თვიანი სესხი 12-15 პროცენტად, აქედან, 9%-ს ფარავს სახელმწიფო. პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში 2,685 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 1,106,478 ლარის ოდენობის სასაქონლო განვადება; მე-2 კომპონენტში – 2439 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 48,433,133 ლარის ოდენობის კრედიტი, ხოლო მე-3 კომპონენტში – 200 ბენეფიციარზე გაიცა 25,591,932 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი.

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სესხი გაცემულია კახეთის რეგიონში, სადაც, დღეის მდგომარეობით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით 969 ბენეფიციარმა ისარგებლა; 461 სესხი გაიცა შიდა ქართლში; 408 პროექტი დაფინანსდა ქვემო ქართლში; შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში იმერეთის რეგიონში 270 კრედიტი გაიცა. 109 პროექტია დაფინანსებული სამცხე-ჯავახეთში; შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 86 სესხი გაიცა სამეგრელოს რეგიონში; 58– მა ბენეფიციარმა მიიღო სესხი მცხეთა-მთიანეთში; თბილისში გაცემულ სესხებში შედის თბილისის ტერიტორიულ საზღვრებს მიკუთვნებულ სოფლებში არსებულ ფერმერულ მეურნეობებზე გაცემული სესხები. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში თბილისში დაფინანსდა 40 სესხი; აჭარის რეგიონში სესხი 22-მა ბენეფიციარმა მიიღო; 18 სესხი გაიცა გურიის რეგიონში; პროექტის ფარგლებში 6 კრედიტი გაიცა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში.

რაც შეეხება „რთველი – 2013“-ს, წელს სახელმწიფო სუბსიდია ე.წ. კონდიცირებულ, ხარისხიან 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე 40 თეთრს შეადგენს, ხოლო 1 კგ საფერავზე სუბსიდია 25 თეთრია. „რთველი 2013“-ის დროს აღარ ხორციელდება ყურძნის ფასის ხელოვნური ზრდა, სახელმწიფო აღარ არის კერძო სექტორის კონკურენტი, არ ხდება მცირე და დიდი ვენახების დიფერენცირება. 2013 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით, ყურძნის სავარაუდო შესყიდვაზე განაცხადის ფორმა წარმოადგინა 85 კომპანიამ; ხელშეკრულება სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული აქვს 34 კომპანიას; 2013 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით, კახეთის რეგიონში ყურძენი 32 კომპანიამ გადაამუშავა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, წლევანდელი რთველი სრულიად ახლებური მიდგომით ტარდება, რაც მთავარია, გლეხს არ დარჩება ჩაუბარებელი ყურძენი, ხოლო მეღვინეობას გრძელვადიანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ექნება.

ბოლო მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტი 42 ქვეყანაში განხორციელდა და 22,243974 მლნ. ბოთლს მიაღწია, აქედან, 7 მლნ. ბოთლი ღვინო რუსეთში გაიგზავნა. ფიფიას თქმითვე, ახალი საწარმოები გაიხსნება ღვინის წარმოებაში, მესაქონლეობაში, რძის გადამუშავებაში, სამინდვრე მეურნეობებსა და მეფრინველეობაში.

როლანდ ხოჯანაშვილი

30 წელში საქართველოში, სავარაუდოდ, 600-მდე ნასოფლარი იქნება

საქართველოს დიდი ქალაქების გარდა ყველგან (გარდა საჩხერისა) შეიმჩნევა მოსახლეობის კლება. კლების ორივე სახე, ბუნებრივიც და მექანიკურიც, იმდენად საგანგაშოა, რომ შეიძლება ქართველები მალე უმცრესობადაც კი დარჩნენ ისტორიულ სამშობლოში. მოსახლეობის მექანიკური კლება შეუქცევადად მიმდინარეობს მსოფლიოში ურბანიზაციის პარალელურად. დემოგრაფები აღნიშნავენ, რომ დაახლოებით 200 წელიწადში ქალაქის მოსახლეობა საერთაშორისო მასშტაბით 3%-დან დაახლოებით 50%-მდე გაიზარდა.

მსოფლიოში უკვე ძაღიან ცოტა სახელმწიფო დარჩა ისეთი, სადაც სოფლის მოსახლეობა აჭარბებს ქალაქისას. მე-20 საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში ქალაქის მოსახლეობა 57%-ზე მეტს შეადგენდა, ჩაც ძირითადად შიდა მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. 90-იან წლებში შეიმჩნეოდა ქალაქიდან მოსახლეობის სოფელში გადასახლების სუსტი ტენდენცია, რომელმაც მასობრივი სახე ვერ მიიღო, ოდგან ქართული სოფელი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნებს. საქართველოს 59 მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღინიშნა 36 მუნიციპალურ ერთეულში. ქართველი ერი გადაბერებულ ერთა ჯგუფს მიეკუთვნება, ოდგან ასაკში შესულთა ხვედრითი წილი განუხრელად იზრდება, ჩაც გამოწვეულია შობადობის დაბალი მაჩვენებლებით. მთიანი რეგიონები, სადაც არ ხორციელდება დემოგრაფიული პოლიტიკის განსაკუთრებული ღონისძიებები, თითქმის მოხუცების ამარა დარჩა. ინტენსიურად ასაკის ადამიანები ტოვებენ მთის სოფლებსა და ქალაქებს, მათი ძირითადი მიგრაციის მიმართული განისაზღვრება საქართველოს დიდი ქალაქებისკენ ან ეკონომიკურად განვითარებული საზღვარგარეთისკენ.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაბადებული ახალგაზრდების უმეტესობა ოჯახის შექმნას ეწინააღმდეგება, რადგან პასუხისმგებლობების წინაშე დადგომისას მათ არ აქვთ ბერკეტები პრობლემების აღმოსაფხვრელად. ქვეყანას როცა არ გააჩნია დემოგრაფიული პოლიტიკის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლები, შემაშფოთებელ შედეგებამდე მივალთ ათიოდე წელში, რადგან 2025 წლისათვის 1980-1989 წლებში დაბადებული 455 ათასი ქალბატონი უკვე რეპროდუქციულ ასაკის ქალბატონებს ეზიარებიან, ოგორ ბოლო წლების განმავლობაში კონცერტებსა და უგემოვნო არქიტექტურაზე დაიხარჯა. რამდენად წაადგებოდა ქუთაისში აშენებულ პარლამენტზე გაწეული ხარჯები, ოგორ ბოლო წლების ბიუჯეტებიდან, ოგორ ბოლო წლების ბიუჯეტებიდან, ოგორ ბოლო წლების ბიუჯეტებიდან ... ...

უშბაზე დაკარგული 2 რუსი ტურისტის სამძებრო სამუშაოები გრძელდება



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მესტიის განყოფილების თანამშრომლები, მწვერვალ უშბაზე დაკარგული ორი რუსი ალპინისტის სამძებრო სამუშაოებს მესამე დღეა აქტიურად აწარმოებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამძებრო სამუშაოებში ავიაცია ჯერ კიდევ გუშინ ჩაერთო, ამ დროისთვის კი მწვერვალ უშბისკენ მიმავალი ყველა არსებული მარშუტის შესწავლა მიმდინარეობს.

სამაშველო ჯგუფი ძიებას ხმელეთიდან, სრული სამთო აღჭურვილობით აწარმოებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ში ინფორმაცია ალპინისტების დაკარგვის შესახებ 9 სექტემბერს შევიდა. როგორც სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, საქართველოს მთებში ორი რუსი ტურისტი – ვიკა ბუშაევა და ანდრეი სიდოროვი – უშბას მწვერვალის დასაპყრობად 31 აგვისტოს გაემართნენ, 6 სექტემბერს კი, ისინი უკან დაბრუნებას გეგმავდნენ.

ნიუსპრესი

შსს-ში ევროპის საბჭოს დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, დღეს ევროპის საბჭოს დელეგაცია ეწვია. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის ფარგლებში, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს პოლიტიკურ მრჩეველთა დირექტორატის დირექტორის მოადგილე დანიილ ხოშაბოს, პოლიტიკურ მრჩეველ მაქსიმ ლონგანგეს და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე ტანია ვან დეიკს, ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივნის მორიგი კონსოლიდირებული მოხსენების მოსამზადებლად, ოკუპირებული ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონებში შექმნილი ვითარება, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ზოლში უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაცია და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში განხილული თემების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

შეხვედრაზე საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გოჩა რატიანმა ყურადღება, ბოლო პერიოდში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ზონებში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და ღობეების ფიქსაციის პროცესზე გაამახვილა. ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს მიეწოდათ ასევე ინფორმაცია ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ.

ნიუსპრესი

პოლიციამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საქალაქო სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით, 1971 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი კორნელი მ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, კორნელი მ. ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ოპელის“ მარკის ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს. მისი ავტომანქანის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 29 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე, სსკ-ს 236 მუხლის 3-ე ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ესპანეთში წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

თბილისისა და მადრიდის ინტერპოლის თანამშრომლებმა, ესპანეთში, საქართველოს მოქალაქე სერგო გოგალაძე დააკავეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ, სხეულის განზრახ მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანებისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის იძებნებოდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ბრალდებულმა 2008 წლის 18 ივლისს, სოფელ ქვიშხეთში თანამზრახველთან ერთად, ურთიერთშელაპარაკებისას, „ტე-ტე“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან ორ მოქალაქეს რამდენიმე გასროლით სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიაყენა.

ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და საქართველოს საზღვარი გადაკვეთა. სამართალდამცველებმა ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში მყოფი სერგო გოგალაძე მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ესპანეთში დააკავეს. ამჟამად დაკავებულის მიმართ, წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ადიგენში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს ადიგენის რაიონული სამმართველოს და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი, 1970 წელს დაბადებული გენადი გ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, ადიგენის რაიონის სოფელ ხევაშენში, ფერსათის მთის ფერდობზე მდებარე საზაფხულო საძოვარზე, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1970 წელს დაბადებულ ჯემალ სულაბერიძეს სანადირო თოფიდან გასროლით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა გენადი გ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტთა რაოდენობამ იმატა

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების ყოველთვიურ განსაჯაროებას აგრძელებს. სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის აგვისტოს თვე, 770 608 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 28,2%-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოს ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 3 568 518 ვიზიტი შეადგინა, რაც 26,4%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი – 1 415 215 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 40%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18,7%);

ბ) ტრანზიტი – 758 872 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 21%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 61%);

გ) სხვა – 1 394 431 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 20%).

სამინისტროს ინფორმაციითვე, 2013 წლის აგვისტოში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+25%), აზერბაიჯანიდან (+21,9%), სომხეთიდან (+26,8%), რუსეთიდან (+44,2%), უკრაინიდან (+59,3%) და ირანიდან (-41,2%) განხორციელდა.

ასევე, ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-აგვისტოს თვეებში, პოლონეთი, ჩეხეთი და ავსტრია გამოირჩევიან შესაბამისად 72%, 35% და 30% -ით.

შუა აზიის ქვეყნებიდან 37%-იანი მატებით ყაზახეთი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ბელორუსის მოქალაქეები გამოირჩევიან – 64%-იანი მატებით.

ნიუსპრესი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბაბბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

სკანდინავიამ გაგვყინა

საქართველო – ფინეთი 0:1

თბილისი. დინამო არენა

0:1 ერიომენკო (74პ)

საქართველო: რევიშვილი, გრიგალავა, ამისულა შვილი, ხუბუტია, ლობჟანიძე, კაშია, კანკავა, ოქრიაშვილი, კობახიძე (თარგამაძე 46), ანანიძე (დვალიშვილი 84), გელაშვილი (ე.გრიგალაშვილი 58)

ფინეთი: მაენპაა, მოისანდერი, ლამპი, ოიალა, ერიომენკო, ჰეტემაი, პუკი (შულერი 90), არკივუო, ტაინიო, რინგი (სპარვი 71), ჰამალაინენი (რისკი 90)

გაძევება: ჯაბა კანკავა (75)

არ ვიცით რა მოხდა თემურ ქეცბაიასა და ზურაბ ხიზანიშვილს შორის, მაგრამ სანამ ფეხბურთელი ნაკრების ავტობუსში იმის გამო არ ავა, რომ შემადგენლობაში არ დააყენეს, სანამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსანი არჩილ (აჩი) არველაძე პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებსა და მწვრთნელს შორის საუბარში ჩაერევა, სანამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი დემაგოგიას თავს არ დაანებებს, მანამდე არაფერი გვეშველება...

ქეცბაია ფინეთთან მატჩის შემდეგ მოტეხილი ჩანდა, ვერ იყო ისეთ „ჟილკაზე", როგორც მანამდე და ამის მიზეზიც ჰქონდა – მისთვის ნანატრი მესამე ადგილი ვერ ავიღეთ. ვერც ავიღებდით, რადგან ამისთვის საჭირო ფეხბურთელები არ გვყავს... მართალი იყო ქეცბაია, როდესაც თქვა, რომ მე ახალ მესებს ვერ დავბადებ, საქართველოში ფეხბურთელების პრობლემა გვაქვსო, მაგრამ...

მოსაგებ მატჩს ცენტრფორვარდის გარეშე თამაშობ, გამოგყავს ორი საყრდენი, რომელთაგან ერთი ნომინალური მცველია, არ ჩანს კომბინაცია, ტაქტიკა, მომავალი... ამ დროს ელემენტალური პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გაჩნდეს...

არც ესტონეთს, ლატვიას, ბოსნიას, სომხეთს ჰყავთ მესები, მაგრამ პლეი-ოფში თამაში მოახერხეს. რატომ? იმიტომ, რომ სწორად ირჯებიან მოედანზე, თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ, ისეთს, როგორიც საჭიროა. ყბადაღებული თემა – ქართველები ტექნიკურები ვართ, აღარ ჭრის თანამედროვე ფეხბურთში...

ნაკრებმა 7 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა, ძალიან ცუდი ფაქტია. ამ 3 გოლიდან, ერთიც არ გაუტანია თავდამსხმელს. ამ მაჩვენებლით მხოლოდ ანდორასა და სან მარინოს ვუსწრებთ... დასკვნების გაკეთება რთული პროცესი არ უნდა იყოს...

თითქმის დარწმუნებული ვიყავით, რომ საფრანგეთთან ნაჩვენები შედეგის შემდეგ ფინელებთან კრახს განვიცდიდით. ყოველთვის ასეა – რომელიმე გრანდთან კარგად ჩატარებული მატჩის შემდეგ საშუალო დონის გუნდთან უნდა ჩავისვაროთ... არა იმიტომ, რომ გადავიღალეთ, უბრალოდ, იქ გაგვიმართლა...

რა მოგებაზეა საუბარი, ან რა უიღბლობაზე, როდესაც მოსაგებად გასული გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში სახიფათო მომენტს მხოლოდ ერთხელ ქმნის და ისიც მეორე ტაიმის შუაში.

უიღბლობა, არ გაგვიმართლა, წაგებას არ ვიმსახურებდით – ეს ის სიტყვებია, რომელმაც შესაძლოა, „არიფი დააბოლოს"... ნურას უკაცრავად, არ „ვბოლდებით" და ფინელებთან მარცხს ვიმსახურებდით... გვაჯობა მეტოქემ და მოგვიგო... მეტიც, ფინელებს ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს და მატჩის შემდეგ კიდევ მსაჯობაზე ჩვენ გვქონია სასაყვედურო...

პირველივე ტაიმში ჩანდა, რომ სტუმრები უკეთესად იყვნენ შეთამაშებულნი. გაცილებით ნაკლები წუნი ჰქონდათ პასებში, ერთი-ორი კომბინაცია გამოუვიდათ, ხოლო ქართველები მეტწილად ინდივიდუალურად ცდილობდნენ სიმწვავის შეტანას.

ტაქტიკა ვახსენეთ და გაუგებარი იყო, რატომ კეთდებოდა აქცენტი ფლანგიდან შეტევებსა და ჩაწოდებებზე, როდესაც მეტოქის საჯარიმო მოედანში ანანიძე, თარგამაძე, გრიგალაშვილი და ოქრიაშვილი იმყოფებიან... ყველა ერთად აღებული არ იქნება ფინელი მცველების სიმაღლის...

მატჩზე მეტს ვერაფერს ვიტყვით, დანარჩენი მატჩის შემდეგ...

თემურ ქეცბაია:

– სამწუხაროა, რომ ამ შესარჩევ ციკლში ბოლო საშინაო თამაში წარუმატებლად დავამთავრეთ. თუ მოგებას არ ვიმსახურებდით, არც წაგება გვეკუთვნოდა. ჩვენთვის ზედიზედ ორი თამაში მეტისმეტი აღმოჩნდა, რადგან ფიზიკურად მზად არ ვიყავით. ერთი თამაში დაგვრჩა ესპანეთში და დადებითი შედეგის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ.

– ფიზიკური მომზადების გარდა, ნაკრებს წარმატების მისაღწევად კიდევ რა დააკლდა?

– გვაკლია ის, რაც დღევანდელ ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია. უფრო მეტი შემტევი ფეხბურთელი გვჭირდება. ზოგი თამაშობს თავის კლუბში, ზოგი სკამზე ზის, ზოგი – ტრიბუნაზე. თუმცა, ნაკრებში როდესაც გიძახებენ, ყველაფერი უნდა გააკეთო და სირბილის თავი მაინც უნდა გქონდეს. დღევანდელი ფეხბურთი დინამიკაა. თუ არ ირბენ, არ იმოძრავებ, ნაკრების დონეზე თამაში ძალიან ძნელია.

– ჯანო ანანიძე ვერც საფრანგეთთან და ვერც ფინეთთან მატჩში ფიზიკურად სათანადოდ აშკარად ვერ გამოიყურებოდა.

– გეთანხმებით, ისეთი ფეხბურთელებისგან, როგორც ჯანოა, ოქრიაშვილი, თარგამაძეა, რაღაცას ელოდები. თუმცა, ჯანომ ორი თამაში ჩაატარა და, სამწუხაროდ, სახიფათო მომენტის შექმნაც ვერ მოახერხა.

– მატჩის არბიტრზე რას იტყვით?

– ეს მსაჯი იყო, როდესაც ორი წლის წინ სახლში ლატვიასთან წავაგეთ. თამაშამდე ამ მსაჯის დიდი შიში მქონდა. იმასაც ვაპირებდით, რომ უეფასთვის მიგვემართა და არბიტრი შეეცვალა. ამ მსაჯთან დიდი ხანია პრობლემები მაქვს. როდესაც ვთამაშობდი, კვიპროსის ჩემპიონები ვხდებოდით და არაფრისგან თამაში ჩაშალა. ამდენი ხანია იმ ქვეყანაში ვცხოვრობ და მისთვის რაღაც გამიკეთებია. იმდენს მაინც ვიმსახურებდი, რომ თანაბრად ემსაჯა. ასეთ პენალტს სახლში არავინ დებს.

– საქართველოსა და ფინეთის ჩემპიონატები რომ ავიღოთ, რამდენად სამართლიანად განაწილდა შესარჩევ ჯგუფში ადგილები?

– ჩვენ ბევრს ვითხოვთ ფეხბურთისგან. სხვაობა ისაა, რა გვინდა და რას ვაკეთებთ. მგონი ფინეთის ნაკრებში ადგილობრივი ჩემპიონატიდან ფეხბურთელი საერთოდ არ არის. ჩვენ მიჩვეული ვართ კარგ ფეხბურთს, რომელიც 30 წლის წინ იყო. 4 წელია ვიძახი, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს. ეს თაობა რომ წავა, მერე ვინ მოვა? ის ბიჭები, რომლებიც იტალიაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, შოტლანდიაში თამაშობდნენ, წავიდნენ და ვიღაცას ხომ უნდა შეეცვალა. საფრანგეთის ნაკრები 2-3-ჯერ ძლიერია, ვიდრე „ტოტენჰემი". იგივე ფინეთის ნაკრები გაცილებით ძლიერია „რაპიდზე". ევროთასებზე რომ ვერ ვაღწევთ შედეგს, სანაკრებო დონეზე როგორ მივაღწევთ? ჩვენ გავიზარდეთ მსოფლიო დონის ფეხბურთელების გვერდით. ისინი წავიდნენ და ჩვენც რაღაც დონე ვითამაშეთ. მომავალში რაღაც თუ არ გაკეთდა, ძალიან ძნელი იქნება. საქართველოც არაა როგორც ქვეყანა ფინეთის დონეზე. სად ფინეთის ცხოვრების დონე და სად საქართველოსი. ჩვენ გვგონია, რომ მოედანზე უნდა გავიდეთ და აუცილებლად მოვიგოთ. ხალხი ფეხბურთში მილიონებსა და მილიარდებს დებს და ვერაფერს აღწევს. ჩვენ არაფერს ვაკეთებთ და ბევრს ვითხოვთ.

– მთავარი მწვრთნელის თუ ფეხბურთელების შეცდომა იყო, რომ გუნდმა ჯგუფში დაგეგმილი მე-3 ადგილი ვერ აიღო?

– გეგმა გვქონდა, ყველაფერი გაგვეკეთებინა, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელები მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მოგვემზადებინა. გვინდოდა, რომ ჯგუფში მე-3 ადგილი დაგვეკავებინა. თუმცა, ის არ გვითქვამს, რომ მე-3 ადგილს ნაღდად დავიკავებდით და ფინეთზე უკეთესი გუნდი ვართ. მთავარი იყო, გუნდი მოგვემზადებინა, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მე-3 ადგილი დავიკავოთ, რაც პლეი ოფში თამაშის საშუალებას იძლევა. ალბათ, მეც დავუშვი რაღაც უზუსტობა. შეცდომას ყველა უშვებს. არ მგონია, ჩემი შეცდომის გამო, ჯგუფში პირველი, მეორე ან მესამე ადგილი ვერ დავიკავეთ. ეს გუნდი რომ ჩავიბარეთ, ჯგუფში მე-6 ადგილზე იყო. წინა შესარჩევ ციკლში მე-5 ადგილი დავიკავეთ. ახლა მე-4-ზე გავედით. იმედია, მომავალ შესარჩევში მე-3 ადგილზე გავალთ და ე.ი. რაღაც გავაკეთეთ.

– გუნდი ტაქტიკურად არ იყო მომზადებული თუ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა?

– ფიზიკური მომზადება მნიშვნელოვანია. როდესაც საფრანგეთთან თამაშობ და რეაბილიტაციას ვერ ახდენ, მეორე თამაშის ჩატარება რთულია. ფინეთთან მოგება გვინდოდა და 0:0-ზე კარგი მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გავიტანეთ.

– ხიზანიშვილი განაცხადში საერთოდ რატომ არ იყო?

– ხიზანიშვილი ავტობუსში არ ამოვიდა. ძირითადში რომ არ იყო, ეტყობა, ეწყინა და არ ამოვიდა.

ჩვენივე ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. საფრანგეთის ნაკრები თბილისიდან მინსკს ეწვია და მასპინძლები 4:2 დაამარცხა.

სატუნირო ცხრილი:

1.ესპანეთი	6	4	2	0	10:2	14
2.საფრანგეთი	7	4	2	1	12:6	14
3.ფინეთი	7	2	3	2	5:6	9
4.საქართველო	7	1	2	4	3:8	5
5.ბელარუსი	7	1	1	5	6:14	4

გორის დილას საქმიანობა შეისწავლეს

შიდა ქართლის საინფორმაციო პრესსამსახურის ცნობით, საფეხბურთო კლუბ გორის „დილას" საქმიანობა შეისწავლა და საგანგაშო სიტუაცია აღმოჩნდა. მართალია, გამოძიება ჯერ კიდევ ივნისის თვეში დასრულდა, მაგრამ მასზე ინფორმაცია საჯაროდ ახლა გახდა ცნობილი. შესწავლილ მასალას უცვლელად გთავაზობთ.

2013 წლის 3 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით რაზმაძის ბრძანებით, „გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილას" 2013 წლის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგების" შესახებ გორის მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

კომისიის შემადგენლობაში გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსი ციცო ორჯონიკიძე (თავმჯდომარე), გამგებლის მოადგილე ნინო წეწვაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ზაქარია ნასყიდაშვილი და იურისტ-კონსულტანტი ივანე ბალახაშვილი შედიოდნენ. სამუშაო ჯგუფმა მუშაობა 2013 წლის 26 ივნისს დაასრულა.

– დაწესებულების ბრძანებით სხვადასხვა დროს მივლინებულნი არიან მწვრთნელები და გუნდი, თუმცა გუნდის წევრები არ არიან შრომით ურთიერთობებში დაწესებულებასთან, რაც გამორიცხავს მათ მივლინებაში წასვლას. ამასთან ბრძანებებიდან იკვეთება, რომ გარდა სამივლინებო ხარჯებისა, მივლინებაში მყოფ ადამიანებს კვების ხარჯი ეძლევათ, რაც არასწორია, რადგან მივლინების ხარჯები მოიცავს კვების ხარჯებსაც; მივლინების გაცემა ხდება ერთ პიროვნებაზე გამოწერის გზით, რაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს; მივლინების ბარათებზე არ არის დატანებული ბრძანების ნომრები და თარიღი. არ ჩანს საწვავის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში არ აქვს ადგილი ბიუჯეტის, მისი ცვლილებების, საშტატო განრიგისა და მისი ცვლილებების ბრძანებით დამტკიცებას, რაც ხელს უშლის დაწესებულების ხარჯების და საერთო მისი საქმიანობის გამჭვირვალობას; დაწესებულების დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ მისი ხარჯები დაყოფილია ორ ნაწილად – დაწესებულების და კლუბის ხარჯებად, რაც დაუშვებელია და იწვევს ქაოსს. დაწესებულება, როგორც ერთიანი ორგანიზებული წარმონაქმნი, ერთიან საქმიანობას უნდა ეწეოდეს, რის გამოც თავიდან იქნება აცილებული სხვადასხვა სახის გაუგებრობები. მაგალითად, დაწესებულების საშტატო განრიგში, რომელიც საფუძვლად უდევს სუბსიდიის ოდენობის განსაზღვრას, არ არის დირექტორის თანამდებობა; დაწესებულებაში თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია ცხრა ერთეულით 2013 წლის თებერვლიდან ისე, რომ არ არის შესაბამისი თანხები გათვლილი მათი სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად. დაწესებულებაში დანიშნული ან ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანამშრომლების სახელფასო ოდენობა აღემატება გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სუბსიდიას, რაც გაუგებარს ხდის, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელფასო დავალიანებების დაფარვა. ამასთან, აღნიშნული ასახვას ჰპოვებს ასევე სახელფასო უწყისებში, სადაც ხელფასების ოდენობა ნაჩვენებია ხელზე ასაღები თანხის ოდენობით და შემდეგ ზეპირად არის დათვლილი საშემოსავლო გადასახადი; ხელფასების გაცემა წარმოებს ნაღდი ანგარიშსწორებით, თუმცა სახელფასო უწყისებზე არ არის ხელფასის გაცემის თარიღი და ხელმოწერები დატანილი; არის შემთხვევები, როცა სახელფასო უწყისში არ არის ჩაწერილი თანამდებობრივი პოზიცია; ხშირია შემთხვევები ხელფასის წინასწარ გაცემის შესახებ, რაც გამორიცხავს დასაქმებულთა ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელებას. „დაწესებულებაში გაცემულია პრემიები ცალკეულ თანამშრომლებზე, თუმცა შესაბამის ბრძანებებში არ არის მოცემული მათი გაცემის საფუძველი; დაწესებულებიდან გაცემულია ერთჯერადი დახმარება, თუმცა გაურკვეველია მისი გაცემის სამართლებრივი საფუძველი. ერთ შემთხვევაში გაცემულია „პრემიალური დავალიანება", თუმცა არანაირი დოკუმენტაცია მისი გაცემის საფუძვლების შესახებ დოკუმენტაციიდან არ იკვეთება.

მკლავჭიდელთა 15 მედალი

პოლონეთის ქალაქ გდანსკში მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, სადაც 49 ქვეყნის 1000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრების წევრები მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ და ჯამში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 15 მედალი მოიპოვეს.

უფროსებს შორის ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რევაზ ლუტიძემ მოიპოვა, რომელმაც 9 შეხვედრა მოიგო, მათ შორის უძლიერესი ამერიკელი, რუსი, უკრაინელი, კანადელი და სლოვაკი მკლავჭიდელები დაამარცხა, ფინალში კი ბელარუს სპორტსმენს სძლია.

დიდებს შორის ქართველმა მკლავჭიდელებმა კიდევ 5 მედალი მოიპოვეს – 2 ვერცხლს გიორგი თვალიაშვილი (85 კგ) და ირაკლი გამთენაძე (90 კგ) დაეუფლნენ, 3 ბრინჯაო კი ვასილ დაუთაშვილმა, ჯაბა გეთიაშვილმა და რევაზ ლუტიძემ (მარცხენა მკლავით) აიღეს.

საქართველოს ნაკრების წევრები კიდევ უფრო შედეგიანად ასაკობრივ კატეგორიებში გამოვიდნენ და ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის 3-3 ოქროს მედალი აიღეს. მსოფლიო ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის იმედა ჭინჭარაული (55 კგ. მარცხენა, მარჯვენა) და ნიკოლოზ წერეთელი (65 კგ) გახდნენ, ჭაბუკებს შორის კი ყველას გურამ აბულაშვილმა (65 კგ. მარჯვენა-მარცხენა) და ვალერი მელაძემ (80 კგ.) აჯობეს.

ფეხბურთი

მრ-2014. მესამეხრევი ეტაპი

ევროპა

რუსეთი-ისრაელი	3:1
ლიტვა-ლიხტენშტეინი	2:0
სომხეთი-დანია	0:1
ყაზახეთი-შვედეთი	0:1
საქართველო-ფინეთი	0:1
ნორვეგია-შვეიცარია	0:2
მალტა-ბულგარეთი	1:2
რუმინეთი-თურქეთი	0:2
ლუქსემბურგი-ჩრ.ირლანდია	3:2
სლოვაკეთი-ბოსნია	1:2
ანდორა-ჰოლანდია	0:2
უნგრეთი-ესტონეთი	5:1
კვიპროსი-სლოვენია	0:2
მაკედონია-შოტლანდია	1:2
ავსტრია-ირლანდია	1:0
საბერძნეთი-ლატვია	1:0
იტალია-ჩეხეთი	2:1
სან მარინო-პოლონეთი	1:5
უკრაინა-ინგლისი	0:0
უელსი-სერბეთი	0:3
ბელარუსი-საფრანგეთი	2:4
ისლანდია-ალბანეთი	2:1

სამხრეთ ამერიკა

ბოლივია-ეკვადორი	1:1
ურუგვაი-კოლუმბია	2:0
ვენესუელა-პერუ	3:2
პარაგვაი-არგენტინა	2:5

შედეგები

ჩონჯაჯაფი

იამაიკა-კოსტა რიკა	1:1
აშშ-მექსიკა	2:0
ჰონდურასი-პანამა	2:2

აფრიკა

ეგვიპტე-გვინეა	4:2
ალჟირი-მალი	1:0

აზია

უზბეკეთი-იორდანია	1:1(პ8:9)

ამხანაგური მატჩები

კორეა-ხორვატია	1:2
ჩინეთი-მალაიზია	2:0
ჰონკონგი-სინგაპური	1:0
ნიგერია-ბურკინა ფასო	4:1
კანადა-მავრიტანია	0:1
ესპანეთი-ჩილე	2:2
ს.აფრიკა-ზიმბაბვე	1:2
ბრაზილია-პორტუგალია	3:1

ერ-2015. მესამეხრევი ეტაპი (21)

რუსეთი-ბულგარეთი	3:1
სლოვენია-დანია	2:2
ნორვეგია-მაკედონია	2:1
საბერძნეთი-მალტა	5:0
ისლანდია-ყაზახეთი	2:0
მოლდოვა-უელსი	0:0
თურქეთი-შვედეთი	2:2
ჩერნოგორია-რუმინეთი	3:2

ამხანაგური მატჩი (21)

პორტუგალია-პოლონეთი	6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გურამ ოდიშარია „შინდისის გმირების“ რეჟისორს შეხვდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ჯეტეხისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბენეფიციარების შეხვედრა მინისტრთან გაიმართება. „სამინისტროს ბენეფიციარების შეხვედრა მინისტრთან" – პროექტის მიზანია ჯეტეხის სამინისტროს მხარდაჭერის შედეგად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტური ანგარიში, მიღწეული წარმატებების აღნიშვნა და ფართო საზოგადოების ინფორმირება. შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება მხატვრული-დოკუმენტური ფილმის „შინდისის გმირების" გადაღებაა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ფილმის „შინდისის გმირები“ იდეის ავტორსა და რეჟისორს ედმონ მინაშვილს შეხვდა. მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „შინდისის გმირები“ ასახავს გორის რაიონის სოფელ შინდისში მომხდარ 17 ჯარისკაცის გმირობის ისტორიას, რომლებიც 11 აგვისტოს მოვალეობის შესრულების შემდეგ დისლოკაციის ადგილზე ბრუნდებოდნენ. რუსეთის არმიასთან ბრძოლაში ჩვიდმეტივე ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა. მათ ერთი საათის განმავლობაში ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის ბატალიონს და სხვა ქართველი ჯარისკაცების გადარჩენა შეძლეს.

ფილმის შემოქმედებით ჯგუფს შორის არიან დამდგმელი რეჟისორები – ედმონდ მინაშვილი და ზურა პოპიაშვილი; ფილმის კონსულტანტი – რეზო ჩხეიძე; სცენარის ავტორი – ირაკლი სოლომანაშვილი; მუსიკა – პირველი ნაწილი გია ყანჩელი, მეორე ნაწილი – ნიაზ დიასამიძე. როგორც შეხვედრაზე ითქვა, ფილმი „შინდისის გმირები“ ოქტომბრის ბოლოს საქართველოს ყველა კინოთეატრში იქნება ნაჩვენები.

გურამ ოდიშარიამ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში „სამინისტროს ბენეფიციარების შეხვედრა მინისტრთან“ მომღერალი არჩილ ნიჟარაძეც მიიღო.

– ამ პროექტის მიზანია კულტურის სამინისტროს მხარდაჭერის შედეგად განხორციელებული ღონისძიებების ერთგვარი ანგარიში, მიღწეული წარმატებების აღნიშვნა და ფართო საზოგადოების ინფორმირება, – განმარტა კულტურის მინისტრმა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, არჩილ ნიჟარაძე ტალინში, პოპ-მუსიკის კონკურსზე „ლააგნა ლაულ 2013“ გაემგზავრა და საერთაშორისო აღიარება, გრანპრი მოიპოვა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ პირადად მიულოცა არჩილ ნიჟარაძეს აღნიშნულ კონკურსზე გამარჯვებას.

ახალგაზრდა შემსრულებლების (16-დან 32 წლამდე) საერთაშორისო პოპ-მუსიკის ფესტივალზე ქართველი მუსიკოსი სამი სიმღერით წარსდგა და კონკურსის ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. კონკურსში 16-დან 32 წლამდე კონკურსანტები მონაწილეობდნენ. მთლიანობაში კონკურსში 12 ქვეყნის 21 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

– „ლააგნა ლაულ“ ტალინში მერის მეუღლის პატრონაჟით ტარდება და ის ერთ-ერთი პრესტიჟული კონკურსია, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წამომადგენლები იღებენ მონაწილეობას. ქართველმა სოლისტმა გამარჯვება 16 ქვეყნის 21 მომღერალს შორის მოიპოვა და კონკურსის „ლააგნა ლაულ 2013“-ის გრანპრის მფლობელი გახდა. კულტურის სამინისტრო ულოცავს არჩილ ნიჟარაძეს ამ გამარჯვებას, – აღნიშნა მინისტრმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 11-16 ივლისს, ბელორუსში, საერთაშორისო კონკურსზე „სლავიანსკი ბაზარი 2013“ არჩილ ნიჟარაძემ მეორე ადგილი დაიკავა. ამ კონკურსზეც მომღერალი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით იმყოფებოდა.

კულტურის მინისტრმა პირველი ქართველი ჯამბაზი, უხუცესი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი სანდრო თედიაშვილი მოინახულა და 100 წლის იუბილე პირადად მიულოცა. მინისტრი მსახიობს ესტუმრა და მას ფულადი ჯილდოც გადასცა.

– საცირკო ხელოვნების ოსტატი სანდრო თედიაშვილი 1913 წელს დაიბადა. თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც 18 წელი იმუშავა. მას შემდეგ, მსახიობი თბილისში გადმოვიდა და ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის – მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი გახდა. 5 წლის განმავლობაში მან ამ თეატრში იმუშავა, ვიდრე ქართული ცირკის პირველი ჯამბაზის დამსახურებულ წოდებას დაიმსახურებდა. ქალ მოჯირითეთა დასის შექმნით, ურთულესი, უცხო ილეთების და თუ სხვა მნიშვნელოვანი მიღწევების გამო, ქართული ცირკი მთელს საბჭოთა კავშირში პირველი იყო, შესაძლოა ამიტომაც 1957 წელს თბილისში ქართული საცირკო ხელოვნების კოლექტივის შექმნის საკითხი დაისვა. რადგან სიახლეებთან დაკავშირებული ყველაფერი – დანიშვნები, გათავისუფლებები, გასტროლები რუსეთში წყდებოდა, თბილისში რუსეთიდან საბჭოთა კავშირის საცირკო ხელოვნების სამმართველოს წარმომადგენელი ჩამოვიდა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მოზარდმაყურებელთა თეატრში 44 წლის სანდრო თედიაშვილი აღმოაჩინა და დაიწყო კიდეც მსახიობის ახალი ეტაპი ქართულ ცირკში, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

სანდრო თედიაშვილს საბჭოთა კავშირში პირველი ქართველი ჯამბაზის წოდება მიენიჭა. მან ცირკში შექმნა კინტოს სახე და ქართველმა მაყურებელმა ჯამბაზი კინტოს სახით მიიღო.

როგორც თავად მსახიობი ამბობს, კინტომ საქართველოში მალე დაიმსახურა აღიარება, თუმცა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ნაციონალურ კოსტიუმში გამოწყობილმა ჯამბაზმა ასეთივე წარმატება ვერ მოიპოვა. მსახიობის 20-წლიანი ეპოქა ქართულ ცირკს ეკუთვნის.

სანდრო თედიაშვილი არის თანაავტორი დადგმისა „ლურჯი მთების ლეგენდა“. ყოველი დღის 12 საათიან სეანსზე ისტორიული ზღაპრის ფორმითა და იუმორით ჯამბაზი პატარებს საქართველოზე, მის ისტორიაზე მოუთხრობდა. ასე გაიცნეს ბავშვებმა „კაცი – უჩინმაჩინი“, პირველი ქართველი მასხარა – სანდრო თედიაშვილი. ნაყოფიერი მუშაობის გამო, პირველ ქართველ ჯამბაზს ცირკის დირექტორობასაც უპირებდნენ, თუმცა უპარტიობის გამო თანამდებობაზე ვერ დანიშნეს. შემდეგ დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა შოთა მილორავას სახელობის საესტრადო-საცირკო სასწავლებელში, სადაც 2004 წლამდე მუშაობდა. იგი ავტორია წიგნისა „ცირკის საოცრებათა ხელოვნება“.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა და მისმა მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან არჩილ გეგეშიძესთან შეხვედრა გამართეს. გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქართული კულტურის უკეთ წარმოჩენის გზებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროში სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

კულტურის მინისტრი და მისი პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი თანამედროვე ხელოვნების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალს „უხილავი დინებები“ დაესწრო, რომელიც „არტ ვილა გარიყულაში“ მეხუთედ ჩატარდა და ის ძმები ზდანევიჩების სახელს ატარებს. ფესტივალი შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისა და განვითარების ფონდის ინიციატივით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. ფესტ ი ნოვა 2013“ – „უხილავი დინებები“ უმეტესად ახალგაზრდა მხატვრების ფორუმია, სადაც ჰიბრიდული ობიექტები გამოიფინება. არტისტები მრავალფეროვანი კონცეფციითა და ესთეტიკით წარმოაჩენენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა დიზაინის სიმყარე, ჩვენი დამოკიდებულება მანქანებსა და ტექნოლოგიასთან, ბგერისა და პოეტური ხედვის შერწყმა. ფრანგი ახალგაზრდები კანის „ვილა არსონიდან“ „კულბუტოს“ ჯგუფში გაერთიანდნენ, რაც არასტაბილური წონასწორობის იდეას განასახიერებს. ისინი მიწიდან იღებენ ხეს, ხდიან მობილურს – ხე ბეტონის მოედანზე მოძრაობს და, რაც მთავარია, მას სიცოცხლეს უნარჩუნებენ. კულბუტოს ჯგუფის გარდა, ფესტივალის ფრანგული პროექტის მონაწილეები იყვნენ დომინიკ ფიური და გელა წულაძე. 70-იანი წლების პარიზის მოჯანყე არტისტების ჯგუფ „ბაზუკას“ წევრმა დომინიკ ფიურმა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა – ალისა წარმოადგინა. ლუის კეროლის აბსურდის ჟანრის ზღაპარი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ფიურისთვის ერთგვარი გასაღებია, რომლითაც ახალი შესაძლებლობებისთვის იხსნება კარი – „სარკის მიღმა სამყარო უხილავია. შემოქმედების მსგავსად, ის ჩვენს აღქმას ცვლის და შეუცნობლისკენ მივყავართ, – ამბობს ფიური, – ალისა – ეს მე ვარ გარიყულაში – ჩემი ხელოვნებითა და ცხოვრების სტილით, სარკეებს მიღმა ვმოგზაურობ და წარსულიდან მომავლისკენ მივდივარ. გარიყულაში ჩამოსვლით, ჩემი წარსული გაცოცხლდა, როცა სამოცდაათიან წლებში, გარიყულას მსგავსი ექსპერიმენტული არტისტული კომუნა ჩამოვაყალიბე საფრანგეთში.

წლევანდელ ფესტივალზე პირველად გაიხსნა ამერიკული პავილიონი, რომლის კურატორია ლოს ანჟელესში მცხოვრები ქართველი არტისტი ნანა ჩიჩუა. პავილიონში წარმოდგენილი იყვნენ მხატვრები ნანა ჩიჩუა, ტრევის უეიდ აივი, ლევერ რუხინი, ტრისტან დიუკი, ლორელაინ კონიგი, მარკუს ბეუტერი – გაერთიანდნენ ლოს ანჟელესის ე.წ. „იურული ტექნოლოგიების მუზეუმში“, რომელიც აგრეთვე ცნობილია სახელწოდებით „სასარგებლო ინფორმაციის გავრცელების საზოგადოება“. წელს ფესტივალში მონაწილეობა 15-მდე ქართველმა არტისტმა მიიღო, რომლებიც სხვადასხვა ფორმატის ნამუშევრებით წარდგნენ დამთვალიერებლის წინაშე.

სასახლე, სადაც არტ-ვილა ჩამოყალიბდა, 1885 წელს, პოლონური წარმოშობის სამოქალაქო ინჟინერმა, ვასილი ბოლგარსკიმ დააპროექტა სოფელ გარიყულაში – თავისი ოჯახის საზაფხულო რეზიდენციისთვის. გასაბჭოების შემდგომ, სასახლის მფლობელები გააკულაკეს, ვასილი ბოლგარსკი დახვრიტეს; შენობა ჯერ ბავშთა სახლს გადასცეს, შემდგომ კი – სამხატვრო აკადემიას. ბოლგარსკიანთ სასახლეში, მხატვარ ყარამან ქუთათელაძის ინიციატივით, 13 წლის წინ შექმნილი არტისტთა კომუნა სიახლე იყო ქართული რეალობისთვის. მას შემდეგ, არტ-ვილა გარიყულა ქართველი და უცხოელი ხელოვანების შეხვედრის ადგილად გადაიქცა.

რაც შეეხება ფესტივალს, „ფესტ ი ნოვა“ ხუთი წელია იმართება. ფესტივალის დირექტორი, ყარამან ქუთათელაძე თავისი წინაპრების – გასული საუკუნის მოდერნისტების, კირილე და ილია ზდანევიჩების მიერ დაწყებულ მოძრაობას აგრძელებს, რომლის მიზანი თანამედროვე ქართული შემოქმედების პროგრესულ არტ-პროცესებთან დაკავშირებაა.

გურამ ოდიშარია თბილისში გამართულ საქართველოს სამხედრო ავიაციის ისტორიაში პირველ ავიაშოუს დაესწრო, რომელიც ცნობილი ქართველი ავიატორის ალექსანდრე ქართველიშვილის დაბადებიდან 117-ე წლისთავს მიეძღვნა. ალექსანდრე ქართველიშვილი პირველი ამერიკული ავიაგამანადგურებლის შემქმნელად ითვლება. 31-ე ქარხნის სამხედრო აეროდრომზე გამართულ ღონისძიებაში სუ-25 და ელ-39 ტიპის თვითმფრინავებმა სხვადასხვა საავიაციო მანევრი შეასრულეს. 31-ე საავიაცო ქარხნის ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკის გამოფენაც მოეწყო და ქარხანას ალექსანდრე ქართველიშვილის სახელი მიენიჭა. ღონისძიებას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრები, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, სამხედრო და სამოქალაქო პირები ესწრებოდნენ.

გურამ ოდიშარია ასევე შეხვდა საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ეკატერინე სირაძე-დელონეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საფრანგეთში საქართველოს კულტურის დღეების გამართვას. მხარეებმა ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელოვნებასა და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს. ამ შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთი საქართველოს კულტურის დღეებს 2013 წელს უმასპინძლებს.

მინისტრმა და მისმა პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს გიორგი თავამაიშვილთან შეხვედრა გამართეს. მინისტრებმა კულტურის სფეროში სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივებსა და დაგეგმილ ერთობლივ ღონისძიებებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა რეგიონების მხარდაჭერის პროგრამებს, რაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ამოქმედდა.

გურამ ოდიშარია მცხეთის მუნიციპალიტეტში გამართული პროექტის „ომისგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქები“ შემაჯამებელ შეხვედრასაც დაესწრო და ტრენინგის მონაწილეებს სიგელები გადასცა.

სამთავროს ველზე ძეგლის დაცვის თემაზე სიმულაციური ტრენინგები 3 დღის მანძილზე მიმდინარეობდა. აღნიშნული ტრენინგი ევროკავშირის მხარდაჭერით, 2010 წლიდან იმართება და მიზნად ისახავს რისკისთვის მზადყოფნასა და რეაგირებას, შეიარაღებული კონფლიქტის დროს ურბანული მემკვიდრეობის, უძრავი და მოძრავი კულტურული ფასეულობების დაცვას.

– პროექტმა „ომისგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქები“, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოყალიბებაში და საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გაცნობაში. როგორც ცნობილია, 2010 წლიდან მცხეთის ისტორიული ძეგლები შესულია ნუსხაში – „მსოფლიო მემკვიდრეობა საფრთხეშია“; კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია მცხეთის ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა ძეგლი გადავიდეს იუნესკოს ჩვეულებრივ ნუსხაში, სწორედ ამიტომ, სამინისტრო მუშაობს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების რისკის მართვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ჩამოყალიბებაზე, – განმარტა მინისტრმა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ლუდის ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ფრანგი კომედიოგრაფი „სევილიელი დალაქი“; 4. წყლის, აირის საქაჩი მოწყობილობა; 5. ძველად, კვირის ერთერთი დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული; 6. მუსლიმანთა მთავარი კალენდარი; 7. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტუმე ქსოვილი; 9. რეგიონი კახეთში; 13. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი პერსონაჟი; 17. ღვინის შესანახი პატარა ქვევრი; 18. მდინარე ციმბირში.

თარაზულად: 1. ჰიპერმარკეტი თბილისში; 3. სპორტული იარაღი აკრობატული ხტომებისათვის; 8. პოპულარული ქართული სიმღერა; 10. იმპრესიონიზმის ერთერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 11. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტალური საესტრადო ანსამბლი; 12. ფეხბურთის ბრაზილიელი გულშემატკივარი; 14. შავი და თეთრი შრეების მქონე მინერალი; 15. ნახევარკუნძული ევროპაში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი ოსტატი; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სამხედრო პოლიგონი საქართველოში.

შეადგინა თ.ვოვინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კავალერია; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. მარში; 5. ენძელა; 11. „დარიკო“; 12. „სტამპა“; 14. ქოცო; 16. სმეტანა; 17. იმპულსი; 19. „სევილია“; 21. „შოუდუ“; 22. კათხა.

თარაზულად: 6. „მალვაზია“; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. პლზენი; 10. კლოდი; 13. „ციცქა“; 15. ასიმილაცია; 18. კორპუსი; 20. „მოკო“; 21. შამანი; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იმპერატივი; 2. „სუძუკი“; 3. პაროდია; 4. ტაიგა; 5. სინტაქსი; 6. „იტამი“; 7. მორჩილი; 9. მაყალი; 13. ჰააგა; 17. არფა; 18. ირი.

თარაზულად: 1. ინგლისი; 3. პირატი; 8. ბისტრო; 10. კურიოზი; 11. არაყი; 12. „ბაგიათი“; 14. იტალია; 15. ატამანი; 16. საარი; 18. ტიგელი; 20. ვიადუკი; 21. ალმასი.

ბათუმის საავტორო კინოფესტივალს გია დანელიას ფილმი გახსნის

ეკა ირემაშვილი

15 სექტემბერს ბათუმში რიგით მერვე საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალის ქართველი რეჟისორის გია დანელიას ფილმი „ქინ-ძა-ძა“ გახსნის. საავტორო კინოს ფესტივალი, რომელიც 22 სექტემბერს დაიხურება, გამოავლენს საუკეთესოებს და კინომოყვარულებს სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილ ფილმებს შესთავაზებს. ფესტივალის ოფიციალური პარტნიორი ბათუმის მერიაა.

არტ-ჰაუზ ფილმების ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 8 წლის წინ დაარსდა. მისი დამაარსებელი და ორგანიზატორია ბათუმის ხელოვნების სახლი „არგანი“. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც ტარდება სექტემბრის მეორე ნახევარში ბათუმში. ფესტივალის ყურადღების ცენტრშია არტ-ჰაუზ ფილმები. ბათუმის კინოფესტივალის მთავარი სექციებია – საერთაშორისო კონკურსი (მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები), აბრეშუმის გზა, ცნობილი რეჟისორების ნამუშევრების რეტროსპექტივები, ჟიურისთან შეხვედრა. გარდა ფილმების ჩვენებისა, ფესტივალი მოიცავს სემინარებს, მასტერ-კლასებს და ინდუსტრიულ ღონისძიებებს. ბათუმის ფესტივალის საპატიო სტუმრები გასულ წლებში იყვნენ ბელა ტარი, ნური ბილგე ჯეილანი, ზბიგნევ რიბჩინსკი, კრისტოფ ზანუსი, იოს სტელინგი, აბას კიაროსტამი, დარიუშ მეჰრჯუი, ოთარ იოსელიანი.

ბათუმის კინოფესტივალის დოკუმენტური საკონკურსო სექციის ფილმების შერჩევა დასრულდა და ისინი ცნობილია. აღნიშნულ სექციაში წარმოდგენილი იქნება 9 საკონკურსო ფილმი, მათ შორის ერთი ქართული ფილმი – ნინო ორჯონიკიძის „ინგლისურის მასწავლებელი“.

რაც შეეხება საერთაშორისო კონკურსის მოკლემეტრაჟიანი სექციის ჟიურისა და მონაწილე ფილმებს, აღნიშნულ სექციაში წარმოდგენილი იქნება 25 საკონკურსო ფილმი, მათ შორის 4 ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის ფილმიც. საკონკურსო ფილმებს შეაფასებს საერთაშორისო ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე რეხვიაშვილი (საქართველო) – ჟიურის თავმჯდომარე, მეჯმეთ ალი არსლან (თურქეთი), დელ პაკი (ირანი), მარგარიტა კასიმოვა (ბელორუსია) და ბაადურ წულაძე (საქართველო). საერთაშორისო კონკურსის მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციაში გათვალისწინებულია პრიზები საუკეთესო ფილმი და ჟიურის სპეციალური პრიზი.

ბათუმის კინოფესტივალზე საკონკურსო ფილმებთან ერთად მოხდება არასაკონკურსო ფილმების ჩვენებაც. სექციაში შესულია მრავალი საინტერესო ფილმი. მათ შორის ოსტატთა კოლექცია და მუსიკის სამყარო, რომელშიც წარმოდგენილი იქნება როგორც 2013 წლის, ასევე ათეული წლების წინ გადაღებული ფილმებიც.

კინოჩვენებები გაიმართება 3 ადგილას – კინოთეატრ „პოლოლოში“, სასტუმრო „რედისონის“ კონფერენს დარბაზში წარმოდგენილი იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა და ბათუმის ბულვარში ღია ცის ქვეშ. კინოფესტივალის ოფიციალური სტუმრების გარდა, ღონისძიებებს დაესწრება მედია და კინოინდუსტრიის წარმომადგენლები. აკრედიტებულ სტუმრებს შეუძლიათ დაესწრონ ნებისმიერ კინოჩვენებას, მასტერ-კლასს და ა.შ. კინოფესტივალზე დასწრება ისევ იქნება უფასო, თუმცა საჭიროა რეზერვაცია რათა თავიდან იქნეს აცილებული კინოჩვენებების დროს ადგილების ნაკლებობის დისკომფორტი.

საგანგებო მიმართვა გამოაგზავნა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებისთვის ანჟეი ვაიდამ, სადაც დაგეგმილია მისი ფილმის „ვალესა – იმედის ადამიანი“ პრემიერა.

„გამარჯობა საქართველო! გამარჯობა ბათუმო! საქართველოს და პოლონეთს ბევრი რამ აქვთ საერთო. ორივე ხალხი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე მძლავრი და ამავე დროს აგრესიული მეზობლები ჰყავდათ. საჭირო იყო ზრუნვა ერის თვითმყოფადობაზე, რისთვისაც არაერთხელ მოუწიათ ბრძოლა. ამ მიზნის მიღწევაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ ქვეყნების კულტურები. პოლონურ კინოს დიდი წვლილი მიუძღვის პოლონური საზოგადოების ცნობიერების გამოღვიძებაში და პოლონეთში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში.

თუმცა გადამწყვეტი როლი ამ მოვლენებში შეასრულა ელექტრიკოსმა გდანსკის ნავსადგომიდან, ლეხ ვალენსამ. მან ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი გაცნობის პირველი წუთიდან, ჯერ კიდევ 1980 წლის აგვისტოში სოლიდარობასა და სამთავრობო კომისიას შორის გამართული მოლაპარაკებების დროს.

რატომ გადავწყვიტე ფილმის გადაღება? არ მინდოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მოვიდა ჟამი, როდესაც უნდა შექმნილიყო ფილმი რიგით მუშაკზე, რომელმაც შეცვალა ისტორიის მსვლელობა. საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ააგეს ბერლინის კედელი. ის დაინგრა ჩემს თვალწინ ლეხ ვალენსას წყალობით, ეს აბსოლუტურად მისი დამსახურებაა. „სოლიდარობის“ დაბადების შედეგად დაემხო კომუნისტური რეჟიმი, დაიშალა საბჭოთა კავშირი, ხოლო პოლონეთმა და საქართველომ მოიპოვეს ასე ნანატრი დამოუკიდებლობა.

ვაღიარებ, რომ ამ ფილმის გადაღება ყველაზე რთული ამოცანა იყო ჩემს 55-წლიანი კარიერის მანძილზე, მაგრამ მე არ მეგულებოდა სხვა რეჟისორი, რომელსაც შეეძლო ლეხზე ფილმის გადაღება, ისე, რომ მე მომწონებოდა, ამიტომ სხვა გზა არ მქონდა.

ლეხ ვალენსასთან თანამშრომლობა მქონდა წლების მანძილზე. მეჩვენება, რომ შემიძლია სრულყოფილად გადმოვცე ამ ქარიზმატული ლიდერის ცხოვრების გზა, და გადავიღო ფილმის მესამე ნაწილი... სცენარის ავტორმა იანუშ გლოვაცკიმ, მშვენივრად იცის ეს ეპოქა. იგი იყო გდანსკის ნავსადგურში მომხდარი გაფიცვის თვითმხილველი, რომელიც აღწერა თავის მოთხრობაში.

შეიძლება არ არსებობს სხვა პოლონელი პოლიტიკოსი, რომელიც გამოჩნდებოდა ეკრანზე ისე, როგორც ლეხ ვალენსა. ეს ისტორია უნდა გადასცემოდა საზოგადოებას, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მსახიობური ინტერპრეტაცია. მხოლოდ მსახიობს შეუძლია თავს უფლება მისცეს გაგაკეთოს ის, რისი გაკეთებაც აქამდე „სოლიდარობის“ შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებში შეუძლებელი იყო. ოპერატორი პაველ ედელმანი ბრწყინვალედ ართმევს თავს და უკავშირებს ერთმანეთს დოკუმენტსა და ფაბულას.

ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ისეთ ნიჭიერ და ახალგაზრდა მსახიობებს, რომლებიც გამოდიან ჩემს ფილმში. რობერტ ვიეცკიევიჩმა შეასრულა ლეხ ვალენსას როლი, მისი მეუღლის როლი შეასრულა აგნიეშკა გროხოვსკამ. ისინი შეუდარებლები არიან.

გულწრფელი სიხარულით მხარი დავუჭირე და მივიღე ანჟეი სლოვიცკის ინიციატივა, რომ ბათუმის მერვე კინოფესტივალზე გამართულიყო ჩემი ახალი ფილმის პრემიერა.

ბათუმის კინოფესტივალზე 2007 წელს გაიმართა კინოს საერთაშორისო სემინარი. ეს იყო ჩემი შემოქმედების პირველი პრეზენტაცია საქართველოში. შემდგომ წლებში საქართველოში მოეწყო ჩემი სხვა ორი ფილმის პრემიერები. დასანანია, რომ მოახლოებული პოლონური პრემიერის გამო ვერ ჩამოვალ ბათუმში. მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩართული იყო საქართველოში პრემიერის მოწყობის პროცესში, განსაკუთრებით მადლობას ვუხდი გიორგი გოგიბერიძეს და ბათუმის ფესტივალის მენეჯერს ზვიად ელიზიანს, ასევე ანჟეი სლოვიცკის შრომისთვის, დახარჯული ენერგიისათვის და იმ დიდი ღვაწლისთვის, რომელსაც იგი უკვე 43 წელია ეწევა ჩემი შემოქმედების პრომოციის საქმეში.

მინდა ვუსურვო ფესტივალის ყველა მონაწილეს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და წარმატებები. იმედი მაქვს, რომ პრემიერა არა მხოლოდ ხელს შეუწყობს პოლონური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეს, არამედ იქნება მნიშვნელოვანი კულტურული და პოლიტიკური მოვლენა დღევანდელ საქართველოში“.

რაც შეეხება ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის პროგრამას, ისე ასე გამოიყურება: 15 სექტემბერი – „ქინ-ძა-ძა“ რეჟისორი გიორგი დანელია, ტატიანა ილინა (რუსეთი), „საუკეთესო შეთავაზება“ რეჟისორი ჯუზეპე ტორნატორე (იტალია/აშშ).

16 სექტემბერი – „სისხლისმიერი ძმა“ რეჟისორი სტივ ჰუვერი, „ბრიტანული ამპარტავნების სახელმძღვანელო“ რეჟისორი ჯეს ბენსტოკი (დიდი ბრიტანეთი), „ცის დასალიერში“ რეჟისორი მაიკლ ლენოქსი (დიდი ბრიტანეთი), „მხეცი“ რეჟისორი ატილა ტილი (უნგრეთი), „როგორ შევაგროვოთ კენკრა“ რეჟისორი ელინა ტალვენსაარი (ფინეთი), „ღია ცის ქვეშ“ რეჟისორი ალბერტ ზაქლი მარკუს კრისპელთან და ფრანც ზართან ერთად (ავსტრია), „წმინდა ანტონის დღესასწაული“ რეჟისორი ჟოაო პედრო როდრიგესი (პორტუგალია), „ცარიელი დაფები“ რეჟისორი იორღოს ზოისი (საბერძნეთი), „მდუმარე“ რეჟისორი რეზან იეშილბაში (თურქეთი), „სუპერმენი, სპაიდერმენი ანდა ცბეტმენი“ რეჟისორი ტუდორ გურჯუ (რუმინეთი), „ელჩი და მე“ რეჟისორი იან ზარლევსკი (შვეიცარია), „ხვალ კარგი იქნება“ რეჟისორი პოლინ გეი (საფრანგეთი), „ორი გული“ რეჟისორი დარენ თორტონი (ირლანდია), „ორი გემი“ რეჟისორი ჟუსტინ ტრიე (საფრანგეთი), „ანტროპოვის ვილა“ რეჟისორები კასპარ იანცისი, ვლადიმირ ლესჩიოვი (ლატვია), „ვალესა, იმედის კაცი“ რეჟისორი ანჯეი ვაიდა (პოლონეთი).

17 სექტემბერი – „მკვლელობის აქტი“ რეჟისორები ჯოშუა ოფენჰაიმერი, კრისტინ სინი, ანონიმი (დანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი), „გამარჯვებული“ რეჟისორი ვიესლავ სანიევსკი (პოლონეთი, აშშ), „დიდოსტატი“ რეჟისორი ვონგ კარვაი (ჰონ-კონგი/ჩინეთი/აშშ).

18 სექტემბერი – „პუსი რიოტ – პანკების ლოცვა“ რეჟისორები მაიკ ლერნერი, მაქსიმ პოზდოროვკინი (რუსეთი/დიდი ბრიტანეთი), „უსასრულო დაბრუნება“ რეჟისორი კირა მურატოვა (უკრაინა), „ნასესხები დრო“ რეჟისორი ჯულ ბიშოპი (დიდი ბრიტანეთი), „ბალკანური სული“ რეჟისორი ჰერმან ვასკე (გერმანია), „პიეტა“ რეჟისორი კიმ კი-დუკი (კორეა).

19 სექტემბერი – „ცუდი ბიჭი – განსაკუთრებული რეჟიმის საკანი“ რეჟისორი იანუშ მროზოვსკი (საფრანგეთი, პოლონეთი), „განსაწმენდელი“ (სადღაც შუაში) რეჟისორი იეშიმ უსტაოღლუ (თურქეთი), „მუსიკის მასწავლებლის სიზმრები“ რეჟისორი ეგგენი გორინი (რუსეთი), „გავერთოთ ღამით ლონდონში“ რეჟისორი პიტერ უაიტჰედი (დიდი ბრიტანეთი), „ჯიმი ჰენდრიქსი“ რეჟისორები ჯო ბოიდი, ჯონ ჰედი, გარი უაიზი (აშშ).

20 სექტემბერი – „მილსადენი“ რეჟისორი ვიტალი მანსკი (რუსეთი, გერმანია, ჩეხეთი), „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ რეჟისორი თინათინ გურჩიანი (საქართველო/გერმანია), „ინგლისურის მასწავლებელი“ რეჟისორები ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი (საქართველო), „უდიდესი სილამაზე“ რეჟისორი პაოლო სორენტინო (იტალია, საფრანგეთი).

21 სექტემბერი – „კაცი, რომელმაც ანგელოზებს ფრენა ასწავლა“ რეჟისორი ვიქტორია შუიმანსკა (დიდი ბრიტანეთი/საფრანგეთი/პოლონეთი), „ხუთი გატეხილი კამერა“ რეჟისორები ემად ბურნატი, გი დავიდი (პალესტინა, საფრანგეთი, ისრაელი, ჰოლანდია), „სიყვარულის მბრძანებელი“ რეჟისორი მაიკლ უინტერბოტომი (დიდი ბრიტანეთი/აშშ), „გოგონა და სიკვდილი“ რეჟისორი იოს სტელინგი (გერმანია, ჰოლანდია, რუსეთი).

22 სექტემბერს უკვე ფესტივალის გამარჯვებული ფილმების გამოვლენა და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრის

გერმანე ფაცაციას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

მეუღლე ჯამუ გარუჩავა, შვილი დიმიტრი გარუჩავა, რძალი ლალი ჯოჯუა, შვილიშვილები ნათია შანიძე, ლევან გარუჩავა, სიძე ირაკლი შანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიმოზა კეკელიძე-გარუჩავა

პანაშვიდი: 12, 13 სექტემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 14 სექტემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ვაშლიჯვარი IIა ზონა, Iბ კორპუსი, ბინა №22 (ვაშლიჯვარი, მე-8 ატკ).

გივი სურვილაძე, ილიკო თაყაიშვილი, თენგიზ ურთმელიძე, ჯემალ გეგუჩაძე, მიშა სავიტსკი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიმოზა კეკელიძე-გარუჩავა

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაცია ფუძნდება

ქართველი პროფესიონალი ფეხბურთელებისა და მოქმედი ადვოკატების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ფუძნდება „საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაცია“, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება ფეხბურთელის უფლებების დაცვა. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ფეხბურთელების უფლებები ილახება მათი დამსაქმებელი კლუბებისა თუ სხვა პირთა მიერ და მათ არ აქვთ ინფორმაცია დარღვეული უფლებების აღდგენის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

„საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაცია“ მოწოდებული იქნება მის რიგებში გააწევრიანოს ფეხბურთელები და უზრუნველყოს მათი კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობა“, – ნათქვამია გავრცელებულ პრესრელიზში.

„საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის“ ძირითადი მიზნებია:

1. საზოგადოებაში „ფეხბურთელის“, როგორც პროფესიის პოპულარიზაცია.

2. ფეხბურთელების (მათ შორის, ყოფილი ფეხბურთელების) უფლებების დაცვა, რაც აგრეთვე მოიცავს მათი ინტერესების დაცვას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე და ამ მიზნით ფეხბურთელების წარმომადგენლობას საფეხბურთო კლუბებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სფფ-ში, უეფასა და ფიფაში, ასევე ნებისმიერ სასამართლოსა თუ არბიტრაჟში.

3. ფეხბურთელების განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

4. ფეხბურთელების ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ), საქართველოს მთავრობისა თუ საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში მაქსიმალური ჩართულობა და ფეხბურთში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადგილობრივ დონეზე დამკვიდრების ხელშეწყობა.

5. საქართველოს საგამოძიებო ორგანოებთან და სფფ-სთან აქტიური თანამშრომლობის გზით, გარიგებული თამაშების წინააღმდეგ ბრძოლა და ამ საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირის პასუხისმგებლობის მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციას აქვს „პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის“ მხარდაჭერა.

მოამზადა
მანუელ ყორეყოლიანმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 12 სექტემბერი

08.00 დ/ფ " ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" **09.00** საბ. ან/ფ "მარსიანელი ბავშვი" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ბაიჯეი მსუჟანო**" **ბაიჯეი**" (დ.შვიმერი) **14.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **16.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი.II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **18.20** დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **01.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **7** ნაწ. **14.00, 00.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **8** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 ს დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **4** სერ. **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** იურმალა (გ/ჩ) **00.45** მხ/ფ "**შურისმაძიებელი ანგელოზები**" (ს. სტალონე)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**სრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუადღე" **15.30** გაგინე და მოიგე გ/ჩ **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** სერ."**დასასრული**" **00.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.45** მოკ/ფ "**რა გაცინებსპ!**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** მოკ/ფ "**მიხა**" **16.30** კონცერტი -კამერული მუსიკის დასკვნითი კონცერტი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**აურზაური სალინეთში**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.20** "ჟურნალისტის დღიური " **22.45** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**მოკვეთილი**" **01.15** ირაო

მაესტრო **7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.45** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.15, 16.00 სერ.** "**ღრუბლებს მიღმა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.30, 2.00, 6.00** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **19.00 სერ.** "**1001 ღამე**" **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 სექტემბერი

აშშ დოლარი — 1,6615

ევრო — 2,192

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6047

100 რუსული რუბლი — 4,9859

ამინდის პროგნოზი 12 სექტემბრისთვის

მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ..... ამერიკული ზღაპრები
ტომი 2. ..... ჩეხური ზღაპრები
ტომი 3. ..... ბრაზილიური ზღაპრები



ასტროპროგნოზი 12 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – საინტერესო დღეა, დაგამახსოვრდებათ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, საყიდლებზე წასვლა გართობთ. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, ბედნიერი იქნებით. **ქალწული** – თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი წესრიგდება. **სასწორი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** – პატარა პრობლემა იჩენს თავს, მაგრამ მოევლება. **მერწყული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თევზები** – ცოტა დრო საკუთარ თავსაც დაუთმეთ, ასე აჯობებს.

გისუსვამთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ

შვეულად: 1 ბრიტანეთის ნაწილი; 2. ძველი ქართული საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 3. ანგორული თხის მატყლი; 4. ჰოლანდიური ყველი; 5. მთავარი გაზეთი კუბაში; 11. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, მონოლოგი; 12. შტატი აშშ-ში; 14. მოთელილი მატყლისგან დამზადებული სქელი ქსოვილი; 16. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კვიპროსის დედაქალაქი; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. იამაიკელი სპრინტერი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

თარაზულად: 6. მდინარე აშშ-ში; 7. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 8. პირველი გერმანული ოპერა; 9. რესტორანი საესტრადო პროგრამით; 10. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 13. ძველებური კაჟიანი თოფი; 15. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 18. ფრანგი მოდელიორი; 20. უბანი თბილისში; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 23. საფრანგეთის ჰიმნი; 24. სამურაების მეთაური.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



რუსთაველის თეატრში „იავნანას“ კონცერტი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

12 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „იავნანას“ მორიგი აქცია-კონცერტი გაიმართება.

როგორც ფონდში „იავნანა“ აცხადებენ, ვლადიმერ ავეტისიანი და ჯგუფი „დი ბლექ ბლუზ ორკესტრა“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მართავს კონცერტებს და ერიკ კლეპტონის კომპოზიციების შესრულებით გახდა ცნობილი. საგანგებოდ ამ საღამოში მონაწილეობისთვის ჩამოდის ამერიკელი მომღერალი მონიკა გრინი. საღამოს დამდგმელი რეჟისორი ალექსანდრე რევზინია.

კონცერტი საქველმოქმედოა და სახლის გასაღები გადაეცემა სოციალურად დაუცველ სამ მრავალშვილიან ოჯახს, ასევე სწავლა დაუფინანსდებათ წარჩინებულ სტუდენტებს.

– ქველმოქმედების ინიციატორი და მთლიანი პროექტის სულის ჩამდგმელი პაატა ბურჭულაძის მეგობარი ვლადიმერ ავეტისიანია, რომელიც ჯგუფის „დი ბლექ ბლუზ ორკესტრას“ ლიდერი გახლავთ. მისი დიდი ხნის სურვილია დაეხმაროს სოციალურად დაუცველ ბავშვებს და „დი ბლექ“-თან ერთად კონცერტ-აქცია გამართოს „იავნანას“ მხარდასაჭერად. კონცერტს, რომელსაც „კლეპტომანია“ ჰქვია, შეიძლება ბლუზის შოუც ვუწოდოთ, – ამბობენ ფონდში.

„ერთად გადავარჩინოთ მომავალი“ – ამ სახელწოდებით დააარსა მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ 2004 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“. დაარსების პირველივე დღიდან „იავნანა“ ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის საიმედო თავშესაფარი გახდა. ფონდის ეგიდით არაერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა, როგორც საქართველოში ასევე მის საზღვრებს გარეთ. პაატა ბურჭულაძის წინადადებას საქველმოქმედო გალა-კონცერტში მონაწილეობის შესახებ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები პირველი შეთავაზებისთანავე თანხმდებიან. მიღებული შემოსავალი სრულად ხმარდება მზრუნველობამოკლებულ პატარებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, პაატა ბურჭულაძეს გაწეული ქველმოქმედებისთვის გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება მიანიჭა. მას ასევე მიენიჭა გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩის წოდება. 2008 წლის ომის შემდეგ, პაატა ბურჭულაძის ფონდმა დაობლებული დიტო რაზმაძე იშვილა და მასზე ზრუნვას მის სრულწლოვანობამდე აპირებს. ფონდი ასევე ეხმარება აგვისტოს ომის დროს დაობლებულ ბავშვებს და ზრუნავს ყველა იმ პატარაზე, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა და სითბო განსაკუთრებულად სჭირდება. ფონდის ინიციატივით ასობით ბავშვი ბავშვთა სახლებიდან საკუთარ მშობლებს დაუბრუნდა. „იავნანას“ არსებობის 9 წლის განმავლობაში მათ მიერ ჩატარებულმა საქველმოქმედო კონცერტებმა გახადა შესაძლებელი მრავალშვილიანი მშობლებისთვის თავისი პატარებისთვის სახლების შეძენაც.

– ჟანა რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა, მას ექვსი შვილი დარჩა, აქედან ერთი ბიჭი ნაშვილები ჰყავდა, მეგობარი დაეღუპა სიმსივნით და მისი 4 წლის ობოლი შინ წამოიყვანა. გავიდა წლები და სრულიად მოულოდნელად ჟანასაც იგივე დიაგნოზი დაუსვეს... ჟანას „იავნანას“ სამეგობრო ეხმარებოდა და პერიოდულად თუკი ჩვენი მხარდამჭერები რაიმეს შემოწირავდნენ ხოლმე ფონდს, სულ ვცდილობდით მისი შვილებისთვის გაგვენაწილებინა, ჟანა ხშირად გვირეკავდა და კითხულობდა ჩვენს ამბავს. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე უკანასკნელად დაგვირეკა, მას არაფერი უთხოვია, არც თავის გასაჭირზე უთქვამს რამე... 12 სექტემბრის კონცერტს ფონდი „იავნანა“ ჟანას და მის შვილებს მიუძღვნის, არ გაიყიდება ბილეთები და ყველა მოსულ სტუმარს ვთხოვთ შემოწირულობა გაიღონ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისთვის. ვინც უცხოეთში ცხოვრობს შესაძლებელია ჩვენი ვებ. გვერდის მეშვეობით შემოუერთდეს აქციას, ვიზა ბარათის მეშვეობით პირდაპირ შეიძლება გადარიცხვის განხორციელება, – ამბობენ ფონდ „იავნანაში“.

მსოფლიო ოლიმპიზმისთვის ტომას ბახი დაუკრავს



119 წლიანი ისტორია და რიგით მეცხრე პრეზიდენტი. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. 10 სექტემბერს ბუენოს-აირესში გამართულ სოკ-ის 125-ე სესიაზე, ხმის უფლების მქონე დელეგატთა უმრავლესობამ არჩევანი 59 წლის გერმანელ იურისტ ტომას ბახზე გააკეთა.

ბახი, სოკ-ის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის ჟაკ როგის, რომელიც ამ ორგანიზაციას 12 წელი მართავდა, თანამოაზრეა და გამარჯვების უმთავრეს ფავორიტადაც სახელდებოდა. სხვათა შორის, იგი წარსულში წარმატებული მოფარიკავე იყო და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე, გერმანიის ნაკრებთან ერთად გუნდურ ასპარეზობაში ჩემპიონიც გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოკ-ის ახალი პრეზიდენტის გამოსავლენად ორი ტურის ჩატარება გახდა საჭირო, ტომას ბახის გამარჯვება ეჭვქვეშ არ დამდგარა. სერგეი ბუბკამ (უკრაინა), რიჩარდ კარიონსმა (პუერტო რიკო), ჩინგ-კო-უმ (ჩინეთის ტაიპეი), სერგ მიანგ ნგიმ (სინგაპური) და დენის ოსვალდმა (ჩვეიცარია) გერმანელ სპეციალისტს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. საბოლოოდ მან 93 შესაძლებლობიდან 49 ხმა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ რიჩარდ კარიონს (29) დიდი უპირატესობის გაუსწრო. ლეგენდარულ უკრაინელ ჭოკით მხტომელ სერგეი ბუბკას, რომელიც საერთაშორისო სპორტულ წრეებში დიდი სიმპათიით სარგებლობდა და ხელწამოსაკრავ კანდიდატადაც არ მიიჩნეოდა, არჩევნებზე მხოლოდ 4 მხარდამჭერი აღმოაჩნდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რატომ არ უნდა დავით საყვარელიძეს რუსთაველის თეატრის მმართველობა?

ეკა ირემაშვილი

რეჟისორ დავით საყვარელიძეს რუსთაველის თეატრის მმართველობა არ უნდა. ამის შესახებ რუსეთში მყოფმა რეჟისორმა და ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილმა ხელმძღვანელმა „რუსთავი 2“-თან საუბრისას განაცხადა. როგორც ცნობილი გახდა, რუსთაველის თეატრში დაბრუნებულმა რობერტ სტურუამ კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას თეატრის მმართველის თანამდებობაზე სწორედ დავით საყვარელიძის კანდიდატურა შესთავაზა, რაზეც მინისტრმა მაშინვე თანხმობა განაცხადა და შესაბამის ბრძანებასაც მოაწერა ხელი.

როგორც გურამ ოდიშარიამ განაცხადა, დავით საყვარელიძესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საბოლოო შედეგი სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი. კულტურის მინისტრი არ მალავს, რომ მხარს უჭერს რუსთაველის მმართველის თანამდებობაზე დავით საყვარელიძის კანდიდატურას.

– მე ხელი მოვაწერე მის დანიშვნას. ბატონმა რობიკომ წერილი გამომიგზავნა თხოვნით, რომ უნდა ეს კაცი გახდეს თეატრის დირექტორი, ენდობა მას. ჩვენ ვენდობით ბატონ რობიკოს, ვიცით ასევე, რომ პროფესიონალია დათო საყვარელიძე. რამდენიმე თვის წინ ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან დავით საყვარელიძის გათავისუფლების მიზეზი მმართველობაში დაშვებული ხარვეზები გახდა, რაც მარტო დათოს გამო არ იყო გამოწვეული. ეს იყო გამოწვეული იმით, რომ ცოტა ნერვული სიტუაცია შეიქმნა მაშინ ოპერაში. ფაქტობრივად, მაშინ ჩვენ ის არ გაგვითავისუფლებია, თვითონ დათომ დაწერა განცხადება და წავიდა. მისი კანდიდატურა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა კანონის შესაბამისად წარადგინა. სახელმწიფო პროფესიული თეატრების შესახებ კანონის მიხედვით, თეატრის მმართველს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით კულტურის მინისტრი ნიშნავს. გავიგე, რომ დავით საყვარელიძემ უარი განაცხადა მმართველის თანამდებობაზე. როგორც კი წარადგინა რობიკომ, მე თანხმობა განვაცხადე, შემდგომი მოლაპარაკება კი უკვე თეატრის მმართველსა და სამხატვრო ხელმძღვანელს შორის უნდა გადაწყდეს. თუ ის უარს იტყვის, მაშინ უნდა წარმოადგინოს ახალი კანდიდატურა რობიკო სტურუამ.

საქართველოში ამჟამად არ იმყოფება დავით საყვარელიძე. როგორც მან „რუსთავი 2“-ს განუცხადა:

– არ მსურს თეატრის მმართველის ხელმძღვანელობაზე მუშაობა. თუმცა მიხარია, რომ ბატონმა რობერტ სტურუამ ღირსეულად შეაფასა ჩემი გამოცდილება, შესაძლებლობები და სამინისტროს ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. ამ ეტაპზე ძალიან მიჭირს თანხმობის მიცემა, ჩამოვალ საქართველოში ოქტომბერში და შევეცდები გავერკვე სიტუაციაში, თუმცა ალბათ უარს ვიტყვი ამ შეთავაზებაზე.

დავით საყვარელიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი 2004-2013 წლებში იყო. 9 წლიანი მუშაობის შემდეგ მან თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება წელს 23 იანვარს დაწერა, როგორც მაშინ რეჟისორმა განაცხადა, მას თანამდებობიდან წასვლა კულტურის მინისტრის მოადგილემ სთხოვა.